საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ბოლქვაძე მაკა

ევლია ჩელების, მეჰმედ რაშიდის და იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები სამცხე საათაბაგოს შესახებ (XVII-XVIII საუკუნეები)

(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი)

მეცნიერ ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი სულხან ალექსაია

ხიჭაური

2019

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია XVII-XVIII საუკუნეებში სამცხე საათაბაგოში შექმნილი უმძიმესი სიტუაცია. განხილულია, თუ, რა გამოწვევების წინაშე იდგა საქართველოს სახელმწიფო. როგორ იბრძვიან ქართველი გმირები ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, როგორ ცდილობენ ისინი შეინარჩუნონ ტერიტორიული მთლიანობა.

ცალკე ქვეთავებშია განხილული ევლია ჩელების, მეჰმედ რაშიდის და იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს ძირძველი კუთხის სამცხე-საათაბაგოს შესახებ.

სარჩევი:

შესავალი

თავი I.წყაროები და ისტორიოგრაფია

1.1 წყაროები და ისტორიოგრაფია

თავი II სამცხე-სათაბაგო XVII-XVIII საუკუნეებში

2.1 სამცხე-საათაბაგოს XVII საუკუნეში

2.2 სამცხე-საათაბაგო XVIII საუკუნეში

2.3 სოციალურ-ეკონომიკური მდგომარება XVII-XVIII საუკუნეებში

თავი III ევლია ჩელების, მეჰმედ რაშიდის და იბრაჰიმ ფეჩევისა ცნობები XVII-XVIII საუკუნეების სამცხე საათაბაგოს შესახებ

3.1 ევლია ჩელების ცნობები სამცხე-საათაბაგოს შესახებ (XVII საუკუნე)

3.2 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები სამცხე-საათაბაგოს შესახებ (XVII საუკუნე)

3.3 მეჰმედ რაშიდის ცნობები სამცხე-საათაბაგოს შესახებ (XVII-XVIII საუკუნეები)

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

სამცხე-საათაბაგო წარმოადგენდა ერთგვარ კარს, საიდანაც გზა იხნებოდა როგორც დასვლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსაკენ. სწორედ ამიტომაც ქართლისა და იმერეთის მეფეები ყოველთვის ცდილობდნენ არ დაეკარგათ ეს სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი მხარე. სამწუხაროა, რომ თავად სამცხის ათაბაგები თავს იცავდნენ უფრო ქართლისა და იმერეთის მეფეებისაგან, ვიდრე ირანისა და ოსმალეთისაგან. ასე მოიქცა 1510 წელს ათაბაგი მზეჭაბუკი, რომელმაც ოსმალები გაატარა თავის სამთავროზე და გზა გაუხსნა მტერს იმერეთისაკენ. 1515 წელს, მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ, სამცხეში ერთამნეთს დაუპირისპირდნენ მზეჭაბუკის ძმა მანუჩარი და ძმისშვილი ყვარყვარე. მანუჩარი თურქული ორიენტაციისა იყო და მოახერხა ყვარყვარეს დამარცხება. ყვარყვარემ დახმარება შაჰ-ისმაილს სთხოვა და ყიზილბაშთა მხარდაჭერით სამცხე დაიჭირა. ყვარყვარე შაჰის ვასალი გახდა.

XVI საუკუნის 30-ინი წლების დასაწყისში ოსმალებმა ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლეს. შექმნილი ვითარებით ისარგებლა იმერეთის მეფემ ბაგრატმა და სამცხეში შევიდა. 1535 წელს მურჯახეთთან ბრძოლაში ყვარყვარე ტყვედ ჩავარდა და მესხეთის დიდი ნაწილი იმერეთის მეფეს გადაეცა. 1543 წელს ბაგრატ III-ის წინააღმდეგ ლაშქრობისას ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ ის კი მოახერხეს, რომ ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორიაზე თავისი ადმინისტრაციული ერთეულები _ სანჯაყები შექმნეს. ეს ქართული მიწების ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში შესვლას ნიშნავდა. ეს იყო პირველი ცდა ოსმალური ადმინისტრაციული სისტემის დანერგვისა ქართულ მიწაზე.

1545 წელს სოხოისტას ბრძოლაში ბაგრატ III და ლუარსაბ I დამარცხდნენ. ათაბაგმა ქაიხოსრომ სამცხე დაიკავა. ლუარსაბმა კი შეინარჩუნა ჯავახეთი. ამასიის ზავის მიხედვით სამცხის დასავლეთი ნაწილი ოსმალეთს ერგო, აღმოსავლეთი ირანს. საათაბაგოში კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება შინაომებმა, რომელიც დაიწყო ჯაყელებსა

და შალიკაშვილებს შორის. 1578 წელს ოსმალებმა ამასიის ზავი დაარღვიეს და სამხრეთ საქართველოში შეიჭრენ ლალა მუსტაფა ფაშას ხელმძღვანელობით. მას მანუჩარ ჯაყელი ეახლა და მორჩილება აღუთქვა. მანუჩარს იმედი ჰქონდა, რომ ოსმალები მას საათაბაგოს გადასცემდნენ და ამ მიზნით გამაჰმადიანდა კიდეც.

1579 წელს სულთნის ბრძანებით საათაბაგოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო, და ფაშად გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა) დაინიშნა. 1582 წელს მანუჩარი კვლავ გაქრისტიანდა და სამცხეში აჯანყება წამოიწყო. ერთი წლის შემდეგ მან ცოლად მოიყვანა სვიმონ I-ის ასული ელენე და ამით განამტკიცა თავისი კავშირი ქართლის მეფესთან.

1587 წელს მანუჩარის წინააღმდეგ ოსმალთა დიდი ჯარი დაიძრა. ათაბაგს ჯერ სვიმონ I დაეხმარა, მაგრამ ქართლის მეფე სვიმონი მალევე იძულებული შეიქნა თავის სამეფოში დაბრუნებულიყო, რადგან ქართლშიც შეიჭრენ ოსმალები. ოსმალებს მხარი დაუჭირეს შალიკაშვილებმა და ჯაყელების მოწინააღმდეგე სხვა თავადებმა. ოსმალებმა ახალციხე აიღეს. მანუჩარმა სამცხე დატოვა.

1590 წელს ირან-ოსმალეთის ზავით მთელი სამცხე-საათაბაგო, ისევე, როგორც მთელი სამხრეთ კავკასია, ოსმალებს ერგო. სამხრეთ საქართველო დიდი ხნით მოექცა ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში. ოსმალებმა აღწერეს მთელი სამცხე-საათაბაგო ანუ ,,გურჯისტანის ვილაიეთი". მასში 1160 სოფელი შედიოდა. თურქებმა სამცხეში დანერგეს მიწათმფლობელობის თავისი წესი. მიწა შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ იმას, ვინც მაჰმადიანი იყო და სულთნის სამსახურში იმყოფებოდა. დაიწყო ქრისტიანების სასტიკი დევნა. ეკლესია-მონასტრებს ანგრევდნენ და მათ ადგილას მეჩეთებს ხსნიდნენ. მძიმე გადასახადები დაეკისრა ადგილობრივ მოსახლეობას. გლეხობა მასობრივად ტოვებდა სოფლებს. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, სამასზე მეტი სოფელი დაცარიელებული იყო. ცარიელ სოფლებში თურქებმა დაიწყეს არაქართველთა ჩასახლება. საქართველოს უძველეს კუთხეს გადაშენების საფრთხე დაემუქრა. სამცხე-

საათაბაგოში ხდებოდა აჯანყებები ოსმალთა წინააღმდეგ, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება ვერ ხერხდებოდა.

სამცხე საათაბაგოს უდიდესი ნაწილი ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი, მაგრამ ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ კვლავ გრძელდებოდა. ათაბაგი მანუჩარ II ცდილობდა ოსმალეთსა და ირანს შორის არსებული წინააღმდეგობები გამოეყენებინა და ირანის დახმარებით ოსმალეთი განედევნა. ამ მიზნით, დაახლოებით 1605 წელს, მანუჩარი ირანში იმყოფებოდა აბას I-თან. აბას I-საც აწყობდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების ხელში ჩაგდება და ის დახმარებას ჰპირდებოდა მანუჩარს. თუმცა, სინამდლილეში შაჰს სამცხის სრული დაპყრობა ჰქონდა განზრახული.

მანუჩარ II-ის გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მისი მეუღლე, სვიმონ I-ის ასული ელენე. ელენემაც დახმარებისათვის ირანს მიმართა. ელენემ ქართლის სამეფოს ჯარის დახმარებით მოახერხა ახალციხის აღება. ამ ბრძოლაში ყიზილბაშთა რაზმიც მონაწილეობდა. ახალციხის დაკავების შემდეგ აბას I-მა ათაბაგად მანუჩარის ვაჟი მანუჩარ III ცნო. შაჰს სურდა სამცხის მოსახლეობის გულის მოგება. ოსმალებმა ახალციხე ისევ უკან დაიბრუნეს. XVII საუკუნის 20-იან წლებში კი ირანელებმა ახალციხე დაიკავეს. ამჯერად შაჰმა ხელისუფლება მანუჩარს აღარ ჩააბარა, მან აქ თავისი მოხელე დანიშნა, რომელიც სამცხის გაყიზილბაშებას შეუდგა. ცხადი გახდა, რომ ირანისა და ოსმალეთის ზრახვები სამცხესთან დაკავშირებით არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

მარაბდის ბრძოლისა (1625 წელი) და ქსნის ხეობაში ყიზილბაშთა განადგურების შემდეგ გიორგი სააკაძე სამცხეში გადავიდა. 1625 წელს ასპინძასთან მან დაამარცხა ირანელები, აიღო აწყურისა და ხერთვისის ციხეები. ამის შემდეგ ახალციხე თავისით დატოვეს ირანელებმა. გიორგი სააკაძემ დახმარება სთხოვა სულთანს. სულთანიც დაპირდა დახმარებას, მაგრამ რეალურად არაფერი გააკეთა. სულთანს აწყობდა, რომ ირანელებს ჯარის ნაწილი საქართველოში გამოეგზავნათ, რითაც შემცირდებოდა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ირანელების ძალა. გიორგიმ სამცხე მალე დატოვა და

ქართლში დაბრუნდა. მანუჩარ III იძულებული გახდა სულთანს ხლებოდა და მორჩილება გამოეცხადებინა. სულთანმაც მანუჩარი ქრისტიანად დაამტკიცა ათაბაგად. უკან გამობრუნებული მანუჩარ III გზაში მისმა ბიძამ მოაწამლინა.

1639 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. ზავის თანახმად მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალებს დარჩათ. მოსახლეობის ნაწილი სამცხეს ტოვებდა. ნაწილი იძულებული გახდა გამაჰმადიანებულიყო. გარკვეულმა ნაწილმა კი შეძლო მართლადიდებლობის შენარჩუნება. ამ დროიდან იწყება კათოლიკობის გავრცელება სამცხე-საათაბაგოში. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ოსმალები კათოლიკებს ნაკლებად ავიწროებდნენ.

თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს მრავალი გარემოება. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ სამცხე-ჯავახეთის მიწების ნაწილი დღეისათვის დაკარგულია. მეორეს მხრივ, თემა აქტუალურია თუნდაც საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით. დღესაც ჩვენი ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დგას, რაც გეოპოლიტიკური დაძაბულობებითაა გამოწვეული.

კვლევის მიზნები და ამოცანები – სამაგისტრო ნაშრომში მიზნად დავისახეთ თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავხსნათ სამცხე-ჯავახეთში შექმნილი ვითარება.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები _ ნაშრომის თეორიულ-მეთო-დოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლექსური გამოყენება, როგორიცაა ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, სტატისტიკური, რეტროსპექტული, პოლიტიკური ანალიზისა და სხვ.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისა და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მასალები, ინტერნეტრესურსები.

ნაშრომის სრუქტურა და მოცულობა. წარმოდგენილი ნაშრომი – ევლია ჩელების, მეჰმედ რაშიდის და იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები სამცხე საათაბაგოს შესახებ (XVII-XVIII საუკუნეები) - შედგება შესავლის, სამი თავის, შვიდი პარაგრაფისა და დასკვნისაგან. თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია

1.1. წყაროები და ისტორიოგრაფია

XVI-XVII საუკუნეები ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ქვეყანა პოლიტიკურად დაშლილი და დაქუცმაცებული იყო. ოსმალეთისა და ირანის აგრესიის შედეგად გაწყდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. მოიშალა ქვეყნის ეკონომიკა. ყოველივე ამან, ცხადია, იმოქმედა კულტურის განვითარებაზე.

საქართველოში XVI-XVIII საუკუნეებში შეიქმნა რამდენიმე ისტორიული ნაწარმოები. XVI საუკუნეში შეიქმნა ჯაყელების საგვარეულო მატიანე. რომელიც ცნობილია ,,მესხური დავითნის ქრონიკის" სახელით. მასში აღწერილია ძირითადად სამცხე-საათაბაგოს ისტორია XVI საუკუნის 60-80-იან წლებში. ავტორის ვინაობა უცნობია. XVII საუკუნეში ირანში მოღვაწეობდა ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე. რომელმაც დაწერა საქართველოს ისტორია XVII საუკუნის ბოლომდე. XVII საუკუნის 30-40-იან წლებში როსტომის მეუღლის, მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაიწერა ,,ქართლის ცხოვრების" კრებული.

XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა ქართული ისტორიული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენელი ვახუშტი ბატონიშვილი. მისი ნაშრომი ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა" მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის 50-იან წლებამდე. ნაშრომი შესრულებულია იმდროინდელი ევროპული მეცნიერების დონეზე. ვახუშტიმ ნაშრომს თან დაურთო მთელი საქართველოს გეოგრაფიული აღწერაც.

ვახტანგ VI-ს ბრძანებით შეიქმნა ,,სწავლულ კაცთა კომისია" ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით. Kკომისიამ რედაქტირება გაუკეთა ,,ქართლის ცხოვრებას" და დაწერა XIV-XVII საუკუნეების ისტორია.

XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა სეხნია ჩხეიძე. იგი ქართლის სამეფოს მოლარეთუხუცესი იყო. მის ნაშრომში _ ,,ცხოვრება მეფეთა" _ აღწერილია 1653-1739 წლების ისტორია.

სეხნია ჩხეიძის ნაშრომის გარძელებას წარმოადგენს პაპუნა ორბელიანის ,,ამბავი ქართლისანი", რომელიც აღწერს 1739-1758 წლების მოვლენებს.

ომან ხერხეულიძეს ეკუთვნის ნაწარმოები ,,მეფობა ირაკლი მეორისა". მასში მოთხრობილია ქართლ-კახეთის ისტორია 1722 წლიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებამდე.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი დოკუმენტია ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი". იგი XVI საუკუნის ბოლოს შეადგინეს ოსმალებმა. თავისი არსით იგი გახლავთ საგადასახადო დავთარი. მასში 1160 სოფელია აღწერილი და გადასახადების ფორმები და რაოდენობაა დადგენილი. იძლევა მნიშვნელოვან სოცალურ-კონომკურ ცნობებს აღნიშნულ პერიოდის შესახებ.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანია ოსმალო ისტორიკოსების ევლია ჩელები, იბრაჰიმ ფეჩევისა და მეჰმედ რაშიდის ცნობები.

აღნიშნულ საკითხს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა XX საუკუნეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. სვანიძის სამი წიგნი: ,,თურქეთის ისტორია", ,,საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები" და ,,საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში".

ძალიან საინტერესო და კომპეტენტური მკლევარია ნ. შენგლია, რომლის ნაშრომია: ,,XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმლური წყაროები". სადაც, ამ პერიოდის ვყელა ოსმალო ისტორიკოსს ცნობებია მოტანილი საქართველოსთან დაკავშირებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მკლევარი ს. ჯიქია, რომელმაც ქართულად თარგმნა უმნიშვნელოვანესი ოსმალური წყარო ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც XVI საუკუნის მიწურულს შეადგინეს ოსმალებმა.

ამ საკითხებს შეეხო ქართველი ისტორიკოსები: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ე.აბაშიშვილი, ე. მამისთვალიშვილი, . შ. ლომსაძე.და სხვ.

სამცხე-ჯავახეთის შესახებ საუბარია ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევებსა“ და ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“.

თავი II. სამცხე-საათაბაგო XVII-XVIII საუკუნეებში

2.1 სამცხე-საათაბაგო XVII საუკუნეში

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან სამცხე-საათაბაგო საქართველოს სხვა სამეფო სამთავროებისგან განსხვავებით ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყო. აქ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად ოსმალეთმა მიიტაცა სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი: სამცხე-ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი, ბასიანი, კოლა, არტაანი. სპერი, აჭარა, ჭანეთი და შავშეთ-იმერხევი.

სამცხის ათაბაგ ქაიხოსრო II-ის (1545-1573 წწ.) გარდაცვალების შემდეგ, მისი შვილები ყვარყვარე და მანუჩარი ერთმანეთს ეცილებოდნენ ხელისუფლებისთვის. სამცხის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა ასევე ქაიხოსრო II-ის მეუღლე დედისიმედი. ამას ემატებოდა პოლიტიკური დაპირისპირება დიასამიძეებისა და შალიკაშვილების საგვარეულოსთან.

მიხელ სვანიძეს მოჰყავს კონსტანტინოპოლში მყოფი და ავსტრიის საელჩოს თანამშრომლის სოლომონ შვეიგერის ცნობა ყვარყვარესა და მანუჩარის კონსტანტინოპოლში ჩასვლასთან დაკავშრებით.

„1579 წლის 3 ივნისს, წერს შვეიგერი, კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა 2 ქართველი თავადი, დაახლოებით 150 კაცის თანხლებით“ (**სვანიძე, 1971: 127**).

ამგვარად, სამცხე-საათაბაგოში ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც შიდაფეოდალური, ისე დინასტიური ბრძოლა.

ამ ვითარებამ, მიუხედავად ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობისა, განაპირობა ოსმალეთის წარმატებანი სამცხე-საათაბაგოში.

1579 წლის 25 ივნისს სულთანმა მურად III დააარსა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო და მის ბეგლარბეგად გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა) დანიშნა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ახალციხის (ჩილდირის) საფაშო 1625 წელს შეიქმნა. მკვლევარი მ. სვანიძე ჩილდირის საფაშოს დაარსების თარიღად 1628 წელს მიიჩნევს.

ქართველი ისტორიკოსებისეს მოსაზრება გამყარებულია ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიაში დაცული ცნობის საფუძველზე: „ხოლო მანუჩარ შეიწყნარა ხონთქარმან, მოსცა ქრისტეანობით ათაბაგობა და წარმოავლინა, არამედ მოგზაურს მომავალსა დახუდა ბიძა თვისი ბექა, რომელი პირველ წარსული იმყოფებოდა მუნ. ამან ბექამ ისტუმრა და კეთილად შეიტკბო მანუჩარ. გარნა განმზრახველმან ოსმალთა მძლავრებისამან და თვინიერ მათსა სხვისა ღონისა არღარა რისამე შემძლებელმან, შეურთო საჭმელსა მანუჩარისასა სამსალა და მოკლა მანუჩარ, და თვით მივიდა სტამბოლს, იქმნა მაჰმადიან, მოსცა ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე-საათაბაგოსი და უწოდეს საფარ ფაშა და პატივსცეს ორითა თუღითა. მერმე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს“ (**ვახუშტი, 1973: 725**).

მიხეილ სვანიძეს საეჭვოდ მიაჩნია საფარ-ფაშას ახალციხის ფაშად დანიშვნა 1625 წელს და ამ ფაქტს 1628 წლით ათარიღებს.

თურქული წყაროს - სულთან მურად IV მიერ გიორგი სააკაძისადმი გაგზავნილ სიგელში საფარ ფაშა იხსენიება როგორც სანჯაყის მფლობელი (**სვანიძე, 1971: 301**).

როგორც ცნობილია ახლციხე 1626-1627 წლებში სპრსელების ხელთაა, ამიტომ საფარ-ფაშა ამ პერიოდში ვერ იქნებოდა ახალციხის გამგებელი.

სვანიძეს ყველაზე სანდოდ მიაჩნია მუჰამედ სურეიას ცნობა, რომლის მიხედვით, „საფარ-ფაშა სულთან მურად IV დროს ემირთაგანი იყო და ყარსის ციხის თავი გახდა. 1628 წელს ირანელებზე გაიმარჯვა და ახალციხისა და ჩილდირის ბეგლარბეგი გახდა“ (**იქვე: 302**).

სავარაუდოდ ვახუშტის მიერ გადმოცემული ცნობები რეალობისგან შორსაა, რადგან ეს მონაცემები არ ეთანხმება ოსმალური წყაროების მონაცემევს ეს საკითხი ღრმა განხილვის საგანია და კიდევ უფრო მეტ ჩაღრმავებას საჭიროებს.

შიძლება ითქვას, რომ ერთგვარი კომპრომისული ვითარება შეიქმნა. ოსმალეთი აღიარებდა მმართველი (ჯაყელების) გვარის პოლიტიკურ ლიდერობას. სამაგიეროდ, ყოფილი ათაბაგებიც მიდიოდნენ ერთგვარ კომპრომისზე და ღებულობდნენ ისლამს.

ვახუშტის ისტორიიდან ზემოთ ციტირებული ადგილი მ. სვანიძეს შემდეგ ნაირად ესმის - სულთნის მიერ ბექას ახალციხის ფაშად დანიშვნა იმას მოწმობდა, რომ სულთანი ამიერიდან ახალციხის ფაშებად მემკვიდრეობით ნიშნავდა ჯაყელების გვარის გამაჰმადიანებულ შთამომავალს (ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე). მიხეილ სვანიძე ეჭვის ქვეშ აყენებს ვახუშტის მოსაზრება, რომ ბექას ახალციხის ფაშად დანიშვნით შეიქმნა ახალციხის საფაშო. სინამდვილეში ბექას ახალციხის ფაშად დანიშვნით, ფორმალურად (ფაქტობრივად ეს მოხდა 1579 წელს), სამცხეში არსებობას წყვეტს ათაბაგთა ინსტიტუტი. მიხეილ სვანიძე ასევე მიიჩნევს,რომ მცდარია ვახუშტის შეხედულება,თითქოს სულთანმა გამაჰმადიანებულ ბექას ათაბაგობა უბოძა. ახალციხის საფაშოს შექმნა ნიშნავდა სამცხეში ათაბაგის ინსტიტუტის გაუქმებას და ოსმალური სოციალურ ეკონომიკური სისტემისა და მისი მართვა-გამგეობის შემოღებას (**იქვე**).

როგორც აღნიშნული წყაროდან ჩანს სამცხეში ბექას დანიშვნით ათაბაგის ინსტიტუტი უქმდება და ამიერიდან ათაბაგები იწოდებიან ფაშებად, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველები მათ კვლავ ათაბაგებად იხსენიებდნენ.

XVI საუკუნის ბოლოს სამცხე-საათაბაგოში რთული პოლიტიკური მდგომარეობაა. საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე სამცხე საათაბაგო მარტო აღმოჩნდა მტრის წინაარმდეგ ბრძლაში. 1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავით სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთს დარჩა. ამის შემდეგ ოსმალეთმა აქტიურად დაიწყო სამცხეში ოსმალური მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღება, რაც კარგადაა ასახული ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში".

ოსმალეთმა შეძლო სამცხე-საათაბგოს მოწყვეტა საქართველოსაგან და მისი მოსახლეობის აქტიური ასიმილააციის გზას დაადგა. მოღალატე ფეოდალთა და ათაბაგთა ჭიდილის შედეგად XVI საუკუნეში ძალმომრეობამ გაიმარჯავა. საქართველომ ამ ბრძოლაში ტერიტორიის ერთი მესამედი დაკარგა. ამის მიუხედავად სამცხეში არასოდეს შეწყვეტილა ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ. ოსმალეთს საუკუნეები დასჭირდა, რომ სამცხე-საათაბაგო გაეთურქებინა და ისლამი დაემკვიდრებინა.

მანუჩარ II ათაბაგი ვერ ურიგდებოდა ოსმალთა ბატონობას მესხეთში და ბრძოლას განაგრძობდა. XVII საუკუნის დამდეგს იგი ცდილობდა, რომ ირან-ოსმალეთის ომით ესარგებლა და ქვეყანა ეხსნა სრული გაოსმალებისაგან. გასაგებია, რომ შაჰმაც თავის მხრივ მჭიდრო კავშირი გაბა მანუჩართან და მესხ ფეოდალებთან **(სინ, 1973: 304).**

მანუჩარ II იძულებული იყო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ხან ირანის, ხან კი ოსმალეთის მხარე დაეკავა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისქანდერ მუნშის შემდეგი ცნობა: მანუჩარ ათაბაგის ცოლი (რომელმაც მცირეწლოვან შვილთან და ერთგულ მხლებლებთან ერთად ოცდახუთი წლის განმავლობაში მთებსა და ტყეს შეაფარა თავი). სანამ ქართველთა ქვეყანა ოსმალეთს ემორჩილებოდა, დაჟინებით

ცდილობდა, რათა ოსმალებს სამცხე მიეცათ ათაბაგად წოდებული მისი შვილისათვის და ხარკიც საქართველოს წესისამებრ აქაც ისე აეკრიბათ, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში. მაგრამ ოსმალები ამაზე არ თანხმდებოდნენ. ირკვევა, რომ ის, რაც მიუღებელი იყო ოსმალეთის სულთნისათვის, მისაღები ჩანდა ირანის შაჰისათვის. შაჰ აბასი, როგორც ჩანს, მზად იყო ეცნო „პატრონყმური“ (ვასალური) ურთიერთობა. ერთი სიტყვით, ათაბაგს შაჰისაგან უნდა მიეღო ის, რაზედაც სულთანი მას უარს ეუბნებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ საამისო მოლაპარაკება წარმოებდა ისპაანში, სადაც მანუჩარ ათაბაგი პორტუგალიის ელჩს ანტონიო გოვეას შეხვდა. ასეთი პოლიტიკით შაჰი ცდილობდა მანუჩარი თავისკენ მიემხროდა ეს კავშირი გამოეყენებინა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში **(იქვე: 304).**

პირველ ეტაპზე, „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“ პრინციპიდან გამომდინარე, მანუჩარს ყიზილბაშები ოსმალთა წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინა, სამცხე გაეთავისუფლებინა.

1603-1612 წლების ირან-ოსმალეთის ომის დროს კვლავ გამწვავდა ბრძლა სამცხისათვის. მანუჩარი ქართლის სამეფოსთან და ირანთან ამყარებს ურთიერთობას და მათი დახმარებით ცდილობს სამცხიდან ოსმალების განდევნას.

თავის მხრივ ოსმალები ცდილობენ, რომ ათაბაგებმა ირანელები და ქართულ სამეფოთა მეფეები არ გამოიყენონ საპირწონე ძალად.

ფერჰად ფაშამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც საქართველოდან უნდა განედევნათ ის გავლენიანი ადამიანები, ვინც ოსმალებს ეურჩებოდნენ. რა თქმა უნდა, ოსმალებისათვის, პირველ რიგში კი ფერჰად ფაშისთვის არასასურველ საქართველოს გავლენიან ადამიანებში იგულისხმებოდნენ მანუჩარ II ათაბაგი და ქართლის მეფე სვიმონ I. ოსმალეთის მთავრობამ განიხილა ფერჰად ფაშას გეგმა და მას მხარი დაუჭირა.

ფერჰად ფაშას გეგმის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ მანუჩარ II-ეს მოუსპეს სვიმონ მეფისაგან დახმარების მიღების იმედი და შესაძლებლობა. მისი მდგომარეობა უნდა დაემძიმებინა, აგრეთვე, ათაბაგის ოჯახის

მტრის, კოკოლა შალიკაშვილის სპარსელთაგან განდგომას და ოსმალთა სამსახურში გადასვლას. რადგან მანუჩარს საქართველოში აღარ დაედგომებოდა, სხვა გზა აღარ რჩებოდა გარდა იმისა, რომ კვლავ სპარსეთში ეძია დახმარებაც და თავშესაფარიც. შაჰის კარის მისადმი კეთილგანწყობაში მნიშვნელობა ექნებოდა მის ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ სვიმონ მეფესთან ერთად, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სპარსეთში. ძნელია დადგენა, როდის დაიწყო მანუჩარმა შაჰ აბასის კართან დაახლოება და მისი სამსახური (**მამისთვალიშვილი, http://umurgulia82.blogspot.com/2018/06/1578-1625.html**).

ირან-ოსმალეთის ამ ომში ირანელების ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა ახალციხე და მათ ამ გეგმის განხორციელება 1607 წლის 23 ივლისს შეძლეს. ქართველებისა და სპარსელების გაერთიანებულმა ჯარმა ახალციხე აიღო. სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლების შემდეგ შაჰ აბასმა დააკმაყოფილა მანუჩარ II-ის მეუღლის ელენეს თხოვნა და სამცხის მმართველად მისი ვაჟი მანუჩარ III დანიშნა თანაც მხოლოდ მოხარკეობის საფუძველზე. შაჰ აბასი საკმაოდ ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა სამცხის მიმართ და იგი სამომავლოდ ცდილობდა სამცხის დასავლეთი ნაწილიდნაც განედევნა ოსმალები. მართებულია მოსაზრება, რომ ამ დროისთვის მანუჩარ II უკვე გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში აბას I სამცხეს მას ჩააბარებდა. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, მანუჩარ II ჯაყელი 1605-1607 წლებში უნდა გარდაცვლილიყო. სამწუხაროდ უცნობია მისი დაკრძალვის ადგილი (**ბახტაძე, http://umurgulia82.blogspot.com/2017/11/ii-20.html**).

ამ ეტაპზე მანუჩარი სპარსეთთან ურთიერთობას მეტ უპირატესობას ანიჭებდა, რადგან შაჰ აბასი სამცხესთან ურთიერთობას მხოლოდ ვასალობის საფუძველზე ამყარებდა, ოსმალეთი კი მოხარკეობას განვლილ ეტაპად თვლიდა და სამცხის სრულ დაპყრობას აპირებდა.

ირანის შაჰი მიზნად ისახავდა სამცხე საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილში ლოიალური პოლიტიკის დამყარებით ფეოდალები გადმოებირებინა და მათი დახმარებით სამცხის დასავლეთი ნაწილიც დაეკავებინა. ირანის პლიტიკის წარმატება

სამცხეში იმანაც განაპირობა, რომ აქ ანტიირანული განწყობილება ძლიერი არ იყო, თანაც ირანის მხრიდან სამცხეს უშუალოდ საფრთხე არ ემუქრებოდა.

ოსმალებმა დათმეს სამცხე, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო და ისინი მასზე ხელის აღებას არ აპირებდნენ. ამიტომ 1608 წლის მიწურულს ოსმალეთის ხელისუფლებამ ახალციხის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი გაგზავნა ჯელალ ფაშას (ყირიმელი ხანის სარდალი) მეთაურობით. ოსმალებმა კვლავ დაიბრუნეს სამცხე და კიდევ უფრო მეტად დაიწყეს ზრუნვა სმცხის გაოსმალებაზე, რისი გამომხატველიც ის იყო, რომ ისინი უგულებელყოფდნენ ქართულ ადათებს და ნერგავდნენ ოსმალურ ადთ-წესებს. ათაბაგი და მისი დედა ელენე იძულებული შეიქნენ ქართლში ჩასულიყვნენ.

ოსმალები, დაჟინებით ეჭიდებოდნენ ახალციხეს, სადაც მათ, ისქანდერ მუნშის მოწმობით, მაგარი ციხე ააგეს, შიგ თავისი მეციხოვნეები ჩააყენეს, ხოლო ქვეყნის მმართველად გამაჰმადიანებული მესხი ფეოდალი შაჰ იუსუფ ფაშა დააყენეს (**იქვე: 307**).

ოსმალეთისთვის მიუღებელი იყო მის საზღვართან მდებარე სამცის „გაყიზილბაშება“. ეს საკითხი კიდევ უფრო ართულებდა ურთიერთობას ირანსა და ოსმალეთს შორის.

1603-1612 წლების ომის შემდეგ შაჰ აბასმა ვერ შეძლო თავისი „უფლების“ აღდგენა აღმოსავლეთ მესხეთზე. 1612 წლის ზავით ახალციხე და აღმოსავლეთი მესხეთი ოსმალეთს დარჩა, ხოლო 1619 წლის ირან-ოსმალეთის ზავით შაჰ-აბასმა ოფიციალურად აღიარა ოსმალეთის უფლება სამცხეზე. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რომლის შემდეგაც ირანი განაგრძობდა ბრძლას სამცხისთვის (**სვანიძე, 1971: 297**).

ზავის პირობები არც ერთი მხარისათვის არ იყო მისაღები, ამიტომ ორივემ ახალი ომისთვის სამზადისი დაიწყო.

1615 წელს ირან-ოსმალეთის ომი განახლდა. ომის შედეგად ირანი იძულებული იყო იძულებით ხელი აეღო სამცხეზე. ირანმა 1619 წლის ზავით ოფიციალურად ცნო სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის შემადგენლობაში.

XVII საუკუნის პირველ მესამედში სამცხეში რთული მდგომარეობაა. მანუჩრი II-ის ბრძოლის მიუხედავად ქართველები ტოვებენ სარწმუნოებას და ადათ-წესებს. ეს პროცესი კი ასუსტებდა მანუჩარის გავლენას სამცხეში. „არამედ მანუჩარ ჯერ ვერ შურ აგო, ვინაიდან მიიქცეოდნენ და დაუტევებდნენ წესსა და რიგთა სჯულსა მესხნი მძლავრობითა ოსმალთათა“ **(ვახუშტი, 1973: 254).**

1623 წელს შაჰ-აბასმა ოსმალეთთან ომი განაახლა. ბაღდადის და ერაყის დაკავების შემდეგ „გურჯისტანის საკითხის“ მოგვარებას შეუდგა და 1624 წელს ახალციხე აიღო. 1625 წელს ყიზილბაშთა სარდალი ყარჩიხა ხანი საქართველოში შემოიჭრა მრავალრიცხოვანი ჯარით. შაჰს უნდოდა საქართველო სპარსეთის რიგით სახანოდ ექცია, მაგრამ ქართველებმა ბრძოლა წამოიწყეს მის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში სამცხეში რთული მდგომარეობაა. ქვეყნის შიგნით მებრძოლი ძალები დასუსტებული იყო. ქართლი და კახეთი ირანთან ბრძოლას აწარმოებდა და ძალა არ შესწევდა დახმარება გაეწია სამცხისათვის. თანაც ყიზილბაშებისაგან დევნილი თეიმურაზი ოსმალეთს სთხოვს დახმარებას.

XVII საუკუნის 20-30-იან წლებში ოსმალეთსა და ირანს შორის კვლავ განახლდა ბრძოლა სამცხისათვის. ამ დროიდან სპარსეთი ცვლის თავის პოლიტიკას და სამცხის სრული დამორჩილებისკენ მიისწრაფვის. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ შაჰმა 1626 წელს ახალციხის გამგებლად სპარსელი მოხელე სელიმ-ხან შამსედინლუ დანიშნა. სპარსელებიც ოსმალთა მსგავსად დაადგნენ აგრესიის გზას და სამცხის „გაყიზილბაშების“ გზას დაადგნენ. ამის გათვალისწინებით მანუჩარმა გადაწყვიტა ქართლ-კახეთს დახმარებოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ყიზილბაშების იქ დამკვიდრება მას დააკარგვინებდა საიმედო მოკავშირეს მათთან ბრძოლაში. ყიზილბაშებთან ბრძოლით მანუჩარი თითქოს ოსმალეთს ეხმარებოდა, თუმცა მას მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა. ოსამლეთი კი ცდილობდა ირანსა და საქართველოს შორის ბრძოლა თავისი მიზნების მისაღწევად გამოეყენებინა.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ მარაბდის ომში (1625 წ.) ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი რაზმით მონაწილეობა მიიღო მანუჩარ ათაბაგმა. ამ ომში მას უკანასკნელად მოუხდა ბრძოლა სამშობლოს დასაცავად. ქართული წყაროების მიხედვით მარაბდის ომში მონაწილეობის შემდეგ მანუჩარი სამცხეში დაბრუნდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იგი სტამბოლში წავიდა სულთნისაგან შეწყნარებისა და წყალობის სათხოვნელად (**სინ, 1973: 309-310**).

1625 წლის 25 მარტს გიორგი სააკაძის მეთაურობით ქართველებმა აჯანყება დაიწყეს, ყიზილბაშთა ლაშქარი გაწყვიტეს და მათგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებას შეუდგნენ (**სვანიძე, 2007: 203**).

მანუჩარის სტამბულში ჩასვლას და მორჩილების გამოცხადებას სულთნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ოსმალეთი საქართველოს დახმარებით სპარსეთის წინააღმდეგ შეტევას აპირებდა. მანუჩარის დახმარებით ოსმალეთს შეუმსუბუქდებოდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება. სულთანს ასევე იმედი ჰქონდა, რომ ამით გაიზრდებოდა მისი გავლენა ქართლ-კახეთში. ამის გათვალისწინებით ოსმალეთი დათმობაზე წავიდა და „მისცა ქრისტიანობით ათაბაგობა“. სულთანი იმედოვნებდა, რომ ქრისტიანი მანუჩარი უფრო ენერგიულად იბრძოლებდა ყიზილბაშების წინააღმდეგ, თუმცა მანუჩარს სამშბლოში ჩასვლა არ დასცალდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის თავისმა ბიძამ ბექამ მოკლა და თვითონ წავიდა სულთანთან წყალობის მისაღებად. 1628 წელს სულთანმა ის საფარ ფაშას (1628-1651 წწ.) სახელით ახალციხის საფაშოს გამგებლად დანიშნა. ამის შემდეგ ახალციხის ფაშები სტამბულში ღებულობდნენ ინვესტიტურის ნიშნებს სამაგიეროდ კი ქრთამს იხდიდნენ.

საინტერესოა ბექას მიერ მანუჩარ III-ს მკვლელობის ფაქტი. ხომ არ იყო ეს ოსმალლთა მრიდან დაგეგმილი? ოსმალეთი თითქოს სამართლიანად ექცევა მანუჩარს და ქრისტიანობით ნიშნავს ათაბაგად, მაგრამ ოსმალეთის სულთანს სამცხეში ქრისტიანი მმართველი არ სურდა მითუმეტეს ათაბაგის სტატუსით. ამტომ ჩემი აზრით ბექას მიერ მანუჩრის მოკვლა სულთნის მიერ გამიზნულად იყო დაგეგმილი. ამით სულთანმა

ჯაყელებისვე ხელით მიაღწია თავის მიზნებს, სამცხე-საათაბაგო გადააქცია საფაშოდ და დასვა გამაჰმადიანებული მმართველი.

ვახუშტი შემდეგნაირად აღწერს ახალციხის საფაშოს წარმოქმნის შემდეგ სამცხე-საათაბაგოში მომხდარ ცვლილებას: „ხოლო ამა ჟამებათა შინა არღარა იყო სახელნი თავადთა მთავართა და აზნაურთა. არამედ იწოდნენ ფაშად, ბეგად, ალაი-ბეგად, სანჯახად და აღად, რამეთუ ახალციხეს და ოლთის იყო ათაბაგი ახალციხის ფაშად წოდებული, კოლას სჯდა ფაშა, შავშეთს, აჭარას ბეგნი და სხვათა ადგილთა ალაი-ბეგნი და ღაღანი. გარნა მორჩილებასა და ლაშქრობასა ქვეშე ახალციხის ფაშისასა“.

საერთოდ აღსანიშანავია, რომ ჩილდირის საფაშო რეალურად 1579 წელს დაარსდა. მთელი ამ დროიდან მოყოლებული ქართველები ენერგიულად ცდილობდნენსამცხის განთავისუფლებას. ქართველებს სურდათ აქ ათაბაგის ხელისუფლების ძველებური უფლებებით აღდგენა. ქართველების ეს ბრძოლა 1628 წლამდე გაგრძელდა. საფარ ფაშას დანიშვნით სამცხეში მოისპო ათაბაგის ინსტიტუტი. ამიერიდან ახალციხის გამგებლები ჩვეულებრივი ფაშები იყვნენ, რომლებიც ოსმალეთის ხელისუფლების სამსახურში იდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველების ბრძოლა მარცხით დამთავრდა ისინი არ ცნობდნენ ოსმალეთის მხრიდან სამცხეში შემოღებულ ადათ-წესებს და სამცხე-საათაბაგოს კვლავ საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ. სამწუხაროდ სამცხეში გამუსლიმანების პროცესმა შეუქცევადი ხასიადი მიიღო რამაც კიდევ უფრო დააჩქარა მისი დედა-სამშობლოსგან ჩამოშორება (**სვანიძე, 1971: 301**).

ირან-ოსმალეთის ომის პარალელურად სულთანი მყარ მდგომარეობას ვერ ქმნიდა „ფაშად ქცეული ათაბაგისათვის“. 1639 წელს დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის. ირანმა საბოლოოდ აიღო ხელი სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზეც. ამის შემდეგ მათ შორის ომი დიდი ხნით შეწყდა და ოსმალეთსაც მეტი დრო და შესაძლობლობა მიეცა სამცხეში თავისი პოლიტიკა გაეტარებინა, რადგანაც ირანი

ბრძოლას ჩამოშორდა და აქუკვე მხოლოდ ქართველების წინააღმდეგობა ხვდებოდათ. ზოჰაბის ზავი არ დარღვეულა 1723 წლამდე ამიტომ მას საუკუნოვან ზავსაც უწოდებენ.

საფარ ფაშამ ოსმალების დავალებით აღწერა სამცხე-საათაბაგო. ,,დაჯდა ესე საფარ ფაშა და და დაიპყრა სრულიად საათაბაგო, რომელნიცა საზრვარნი აღვწერეთ, და მართვიდა, ვითართა წესი არს ოსმალთა. ამან აღწერა ქვეყანა და შეჰკუეთეს ხარკი ქრისტეანეთა სულზედ დრაჰკანი და ყოველსა მოსავალსა ზედა ხილითურთ შვიდისთავი, ცხვარზედ ბ~ შაური, ზროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამბეჩზედ ექვსი შაური. ხოლო საფაშოდ ხარკი დრაჰკნის მესამედი, რომელ არს ათი შაური წესისამებრ ოსმალთა“ (**ვახუშტი, 1973: 726**).

ამიერიდან ახალციხის საფაშოში თანდათან უქმდებოდა ქართული მიწათმფლობელობა და ფეხს იკიდებდა ოსმალური მიწათმფლობელობა და საგადასახადო სისტემა.

ოსმალები ცეცხლითა და მახვილით ნერგავდნენ მაჰმადიანობასა და ოსმალურ წესებს. ქართველების თავგანწირული ბრძლის მიუხედავად ოსმალეთი დიდ წარმატებებს აღწევდა ამ მხარეში. მოსახლეობის ნაწილი გარბოდა, ნაწილი კი ისლამს ღებულობდა. მხოლოდ გლეხებმა შეინარჩუნეს ბოლომდე ქრისტიანობა სამცხეში. ქართული ენა და კულტურა საგრძნობლად დაზიანებული გამოვიდა ამ ბრძლიდან.

ახალციხის საფაშო დაყოფილ იქნა სანჯაყებად (ლივებად), სანჯაყები კი ნაჰიეებად (რაიონებად). XVII საუკუნეში ახალციხის საფაშო 13 სანჯაყისაგან შედგებოდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, მაჭახელი, აჭარა, ფანაკი (ბანა), ფერთექრექი, ლივანა, ნისფი-ლივანა და შავშეთი, სამცხე-საათაბაგოს ზოგი პროვინცია კი - ისპირი, თორთომი, პატარა არტაანი, ნამერვანი - ოსმალებმა სხვა ვილაიეთებში გააერთიანეს (**სინ, 1973: 355**).

ქართველთა თავგამოდებული ბრძოლის შედეგად ოსმალეთი იძულებული იყო გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. კერძოდ, სულთანმა სამცხის ათაბაგებს ახალციხის ფაშობა მემკვიდრეობით უბოძა, რაც იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა ოსმალეთში.

ასევე, ზოგ კუთხეში მცირე ცვლილებებით შენარჩუნებულ იქნა ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობა („მამული“ და „შეუვალობა“). „1628 წლიდან დაწყებული XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ახალციხის საფაშოს ჯაყელთა (ათაბაგის) სახლის წევრები განაგებდნენ“ **(იქვე: 356).**

XVII ს-ის 20-40-იან წლებში საფარ-ფაშა, მისი შვილი იუსუფ-ფაშა და მესხეთის სხვა ფეოდალები ქართულ ეკლესიაში ლოცულობდნენ და თავს ქართველებად თვლიდნენ. 60-იანი წლებისათვის კი სიტუაცია შეიცვალა და გამაჰმადიანება ყველასათვის აუცილებელი გახდა. ოჯახისა და მამულის გადარჩენის მიზნით ახალციხის ფაშამ და სხვა ადგილობრივმა ფეოდალებმა აღიარეს მაჰმადიანური სარწმუნოება. ვინც ამ წესს არ ემორჩილებოდა, მას სჯიდნენ თავის მოკვეთით **(ლომსაძე, http://umurgulia82.blogspot.com/2018/03/blog-post.html)**.

1647 წელს სულთანმა ფაშობა მისცა როსტომს. ამ დროს წარჩინებულთა ცოლები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას. სულთნის ბრძანებით ისლამი მიიღო როსტომის ცოლმა და სხვა წარჩინებულებმა. ამის შემდგომ წარჩინებულთა ოჯახის წევრები აუცილებლად მუსლიმანები უნდა ყოფილიყვნენ, რათა მათ შეენარჩუნებინათ პრივილეგიები.

სხვა კუთხეებისგან განსხვავებით სამცხე-საათაბაგო ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სწორედ აქ მიმდინარეობდა ყველაზე მწვავედ გაოსმალების პროცესი. მთელი მე-17 საუკუნის განმავლობაში სამცხე საათაბაგო არაერთხელ გახდა ირან-ოსმალეთის თარეშის ობიექტი. თუმცა ქართლისა და კახეთისგან განსხვავებით აქ ირანელთა გავლენა გაცილებით სუსტი იყო. მე-17 საუკუნეში სამცხეში ოსმალთა ძიერი გააქტიურება გამოწვეული იყო ამ მხარის ტერიტორიული სიახლოვით ოსმალეთთან, თანაც ოსმალეთს აქედან გზა ეხსნებოდა მთელი კავკასიის სხვადასხვა მხარის მიმართულებით.

საქართველო XVII საუკუნის ირან-ოსმალეთის ბრძოლების შედეგად დიდად დაზარლდა. საქართველომ ამ ბრძლაში ტერიტორიის მესამედი დაკარგა. ამას

ემატებოდა ტყვის სყიდვა და შინაომებიც, ამის მიუხედავად ქართველებმა შეინარჩუნეს ფიზიკური არსებობა და არასოდეს შეუწყვეტიათ ბრძოლა ძველი პოზიციების დასაბრუნებლად.

2.2 სამცხე-საათაბაგო XVIII საუკუნეში

XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში მეფე მთავრები გაერთიანდნენ და ოსმალთა წინააღმდეგ აჯაბყება დაიწყეს. 1703 წელს ოსმალთა ლაშქარი დასავლეთ საქართველოსკენ დაიძრა. „ოსმალეთის ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა არზრუმის ბეგლარბეგი ქუსჯი ჰალილ ფაშა. მისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ ტრაპიზონის, ჩილდირის, ყარსის ბეგლარბეგებს, გონიის სანჯაყბეგს, ორ ნიჩბიან და ორმოც იალქნიან გემს. სულთნის ბრძანებით, ჰალილ ფაშას აჯანყებულ მხარეებში რიგი ციხეები უნდა აეღო და დაენგრია, ხოლო ბაღდადსა და ბათუმში ციხეები უნდა აეგო და შიგ გარნიზონები ჩაეყენებინა“ (**სდსინ, 2009: 237).**

XVIII საუკუნის დამდეგს ოსმალეთის სანჯაყებს ორთუღინი და სამთუღიანი ფაშები განაგებდნენ. ორთუღიანი ფაშა იყო ისაყ ფაშა, რომელსაც 1725 წელს კახეთის დაპყრობა დაავალეს. 1727 წელს ის მთელი ამიერკავკასიის გამგებელი გახდა. შემდეგ მას ვეზირის წოდება და სამთუღიანი ფაშობაც მიენიჭა.

1744 წელს ოსმალეთის ლაშქარი კვლავ შემოვიდა ქართლში. ამ ჯარს ახალციხის ფაშა უსუფი სარდლობდა. ოსმალებს ქართლის დაჭერა და შარვან-დაღესტანთან უშუალოდ დაკავშირება სურდათ. ამილახორი ოსმალთა ჯარს სურამს დახვდა.

თეიმურაზი მტერს გორთან შეება, მაგრამ დამარცხდა. ოსმალთა ეს გამარჯვება ერეკლე ბატონიშვილმა გააქარწყლა. ის გადაუდგა არაგვზე ლეკ-ოსმალთა ჯარს, რომელსაც დიდი ფული მიჰქონდა დაღესტანს და სასტიკად დაამარცხა ის. ლტოლვილი რაზმის ნაშთები უსუფ ფაშას მიუვიდნენ. უსუფ ფაშამ დაინახა, რომ ქართლი უფრო თეიმურაზის მხარესაა, ვიდრე ამილახორის. ასეთ პირობებში ქართლში დარჩენა სახიფათო იყო და ახალციხის ფაშაც უკან დაბრუნდა (**ბერძენიშვილი, 1965: 182).**

1746 წელს ზავი დაიდო ირანსა და ოსმალეთს შორის. ამ ზავით აღდგა ძველი საზღვრები, რომელიც ზოჰაბის ხელშეკრულებით იყო დადგენილი.

სამცხე სააათაბაგოს პრობლემით აღმოსავლეთი საქართველო ყოველთვის დაინტერესებული იყო თუმცა საშინაო და საგარეო პრობლემებიდან გამომდინარე არ შეეძლო მისთვის დახმარების აღმოჩენა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე-საათაბაგოთი ერეკლე II ინტერესდება.

1770 წელს ერეკლე II სურამში გენერალ ტოტლებენს შეხვდა და ახალციხეზე გალაშქრების გეგმა შეიმუშავეს. ერეკლეს აწყურში ადგილობრივი მეომრებიც მიემხრნენ. 17 აპრილს ერეკლემ აწყურის ციხე აიღო.

8000-იანი ჯარით და დაქირავებული ოსების შემადგენლობით ერეკლე II-მ მიაღწია ასპინძამდე. აქ მას გზა გადაუღობა 1500 კაცისაგან შემდგარმა მაშველმა ჯარმა, რომელიც მიიჩქაროდა მთავარ თურქულ ძალებთან შესაერთებლად. ქართველებმა მათ მთელი ძალით შეუტიეს და გაანადგურეს, ხოლო შემდეგ დაამარცხეს 4000 კაციანი თურქ-ოსების ნაწილი. ასპინძის ომში დამარცხების გამო სტამბოლმა ნომან-ფაშას ადგილზე ისევ ჯაყელების გვარის წარმომადგენელი - სულეიმან-ფაშა დანიშნა (**ლომსაძე, http://umurgulia82.blogspot.com/2018/03/blog-post.html).** 1771 წელს ერეკლე II-მ ხერთვისი დაიკავა მას დახმარებას ამჯერადაც მესხი ფეოდალები უწევენ. ხერთვისის ციხეში მან თავისი გარნიზონი ჩააყენა, ხერთვისის სანჯაყი კი ქართლ-კახეთის სამეფოს შეუერთა. ეს იყო დროებითი წარმატება რუსეთის ჩარევით ერეკლეს ხერთვისის დათმობა მოუხდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის ხერთვისის მოსახლეობაში კვლავ შენარჩუნებული იყო ქრისტიანობა.

სამხრეთ საქრთველოს ტერიტორიზე უპირატესი უფლებებით ახლციხის ფაშა სარგებლობდა მას ემორჩილებოდნენ სანჯაყ ბეგები და აღები. მათ ევალებოდათ ახალციხის ფაშის დროშის ქვეშ ლაშქრობა. მიუხედვდ იმისა, რომ ახალციხის ფაშა მთელი ვილაიეთის გამგებელი იყო მას არ შეეძლო სულთნის ნებართვის გარეშე დაესაჯა ფაშები,ბეგები, აღები და მოლაშქრეები. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ, როცა 1773 წელს კათოლიკეებმა უსუფ ფაშას ეკლესიის აგების ნებართვა სთხოვეს მან უფლება ვერ მისცა ახალციხის ყადის, მუფთის, იენიჩარ აღას მოლას თანხმობის გარეშე. მიუხედავად იმისა რომ ფაშა ეკლესიის აგების მომხრე იყო სომხური ეკლესიის მეთაურმა ყადს ქრთამი მისცა და ეკლესიის აგება ააკრძალვინა. ეს აკრძალვები მიზანმიმართულად მიმართული იყო ახალციხის ფაშას გაძლიერების წინააღმდეგ.

ფაშას უფლებების შეზღუდვას ვახუშტი შემდეგნაირად აგვიღწერს: ,,ისაყ-ფაშა მართვიდა და განაგებდა საათაბაგოსა და ამას არა ეგდენ ერჩდა ფაშა კოლისა და ეძვინვებოდა ისაყს, რამეთუ იყო ხონთქრისაგან მორჩილებასა შინა მისსა. ამისთვის წარავლინა კაცი და მოკლა იგი ღალატად. ხოლო მემკვიდრეთა მისთა უღაღადეს ხონთქარსა, რამეთუ თუმცა განსაგო იყო, არამედ ვერ მოაკუდინებდა სარგოსათვის თავისა თვისისა, თუმცა არა ხონთქრისა შარავანდედობისა სვიანობისათვის, ვერცა ფაშასა ანუ ბეგსა, ალი-ბეგსა, აღასა და მოლაშკრესა. ამისთვის განრისხნა ხონთქარი, წარმოავლინა მტარვალი, რათა მოჰკუეთონ ისაყ-ფაშას თავი. სცნა ესე ისაყ-ფაშამ, განივლტო, მივიდა სტამბოლს და დაიმალა მუნ წელსა რაოდენსამე“ (**ვახუშტი, 1973: 735-736).**

1789 წელს სამცხე-საათაბაგოში მკაფიოდ ჩანს ლეკიანობი პრობლემა. ლეკებს დასაყრდენი აქვთ ახალციხეში და აქედან იკლებდნენ საქართველოს სხვა კუთხეებს. „იყო უკვე ხდომვა ლეკთაგან ახალციხიდან დარყვნიდიან ქართლსადა სომხითსამით, რამეთუ

აღვიდნენ ძენიერისთვის ანიახალციხეს და ზაქარია ციციშვილი, სალთხუცესი დედოფლისა, მოვიდნენ და დაეცნენ ხელთუბანს და წარტყვენვეს იგი.

კვლავ შეიკრიბა ლეკთა და თათართა მხედრობა, მოვიდა და აიღო რუსთავი და მეფე იძულებული წავიდა მათზედა, სადაცა წარგზავნა ძის ძე თვისი დავით, რათა უყოს ზედა დასხმა ჯავახეთს, ხოლო მან წარგზავნა გატეხილს ხიდზე ვით შეყრილობა თათართა და მოარბიეს ჯავახეთი და მოვიდნენ გამარჯვებულნი ალაფვითა დიდითა, და ლეკთა მათ განვლეს ტყით და წავიდნენ მშვიდობით ახალციხეს, მით რამეთუ მეფემან აღარა ამჯობინა მისვლა ტყეთა შინა ლეკთა ზედა“ (**ბაგრატიონი, http://umurgulia82.blogspot.com/2017/08/1782-1846-1744-1818.html**).

2.3. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVII-XVIII საუკუნეებში

ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის და ჩილდირის საფაშოს დაარსების შემდეგ მისი ტერიტორიები აღწერეს და შეადგინეს ე. წ. სააღრიცხვო დავთრები. ეს ღონისძიება დაკავშირებული იყო დაპყრობილ ქვეყანაში ოსმალური მართვა-გამგეობისა და საგადასახადო სისტემის ანუ, ოსმალური სოცილურ-ეკონომიკური სისტემის შემოღებასთან.

დავთრები 2 სახის იყო: პირველში ანუ „დიდ დავთარში“ შედიოდა გადასახადები მათი წყაროების დეტალური მითითებით, ხოლო მეორეში - აღნიშნული იყო წლიური შემოსავლის განაწილება მხედართა შორის. ეს იყო „მცირე დავთარი“. დავთრებში განსაზღვრული იყო თითოეული გლეხისაგან ასაკრეფი გადასახადების რაოდენობა. დავთრების მონაცემებს ასევე იყენებდნენ ოსმალური მიწისმფლობელობისა და

მიწათსარგებლობის წესების დასამკვიდრებლად. დავთრებს წამძღვარებული ჰქონდა კანონთა წიგნი, რომელიც განსაზღვრავდა მოსახლეობის მოვალეობებს საგადასახადო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით.

,,გურჯისტანისვილაიეთისდავთრის" მიხედვით, სამცხე-საათაბაგო 8 სანჯაყად (ლივა) იყოდაყოფილი ესენია: ახალციხე, ხერთვისი, ახალქალაქი, ჩალდირი, ფოცხოვი, პეტრა, ფანაკიდადიდიარტაანი.„დავთრის" მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში 1160 სოფელია ანუ კარიეა დასახელებული.

საინტერესოა აინი ალის „რისალეში" ჩამოთვლილი ქართული პროვინციები, რომლებიც სამ სხვადასხვა რეგიონში ერთიანდებოდა. მაგალითად, ჩილდირის ვილაიეთში შედიოდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ფოცხოვი, მაჭახელი, აჭარა, ფანაკი, ხოლო ოთხი სანჯაყი გაცემული იყო იურთლუქის, ოჯაჯლიქისა და მულქიეთის სახით. ესენია: ფერთექრექი, ლივანა, შავშეთი და ფანასკერტი. ჩილდირის ვილაიეთში 656 კილიჩია, აქედან 97 ზიამეთი, 559 თიმარია. მათ ევალებოდათ 1700-მდე მეომრის გამოყვანა (**სდსინ, 2009: 241**).

თიმარები და ზეამეთები ფეოდალს ეძელეოდა სამხედრო სამსახურისთვის. თიმარები და ზეამეთები ფეოდალური ლაშქრის-სიფაფიების შესანახი, სახელმწიფო მიწების ფონდი იყო და მათ საერთო სახელწოდებად ეწოდებოდა „კილიჩ" - ხმალი.

მულქიეთის ტიპის მიწები გაიცემოდა სრული საკუთრების უფლებით სამემკვიდრეოდ. შეიძლებოდა მისი გაყიდვა და ვაკუფად შეწირვა. იურთლუქი იყო მიწა, რომელსაც სახელმწიფო აძლევდა დაპყრობილი ქვეყნების ადგილობრივ ფეოდალებს. ისინი მთავრობას ეხმარებოდნენ ქვეყნის დამორჩილების საქმეში. უნდა ყოფილიყვნენ მაჰმდიანები. ეს მიწები მემკვიდრეობის წესით გადადიოდა. ოჯაჯლიქი სახელმწიფო მიწების კატეგორიაში შედიოდა და სამემკვიდრეოდ ეძლეოდა დაპყრობილი ტერიტორიის ფეოდალებს. მისი მფლობელი სამხედრო სამსახურში იყო და გადასახადების ნაწილი ეკუთვნოდა. შეიძლება ითქვას რომ ამ სამივე კატეგორიის მიწის მფლობელს ოსმალთა სასარგებლოდ უნდა გამოეყვანა ლაშქრის განსაზღვრული

რაოდენობა. ამ მიწის კატეგორიებზე ევლია ჩელებისთანაც მიოპოვება საყურადღებო ცნობები, რომელზეც ქვევით უფრო კონკრეტულად ვისაუბრებთ.

მიწისმფლობელთა ნახევრად კერძომესაკუთრული ფორმები ანუ იურთლუქისა და ოჯაჯლიქის წესით მამულის ბოძება გაგრძელდა XIX საუკუნის შუა წლებამდე.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ 1595 წელს ფისკალური მიზნით შედგენილი წიგნია. ის მნიშვნელოვანი წყაროა XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის არაერთი საკითხის შესასწავლად. შეიცავს ეკონომიკური ხასიათის მდიდარ მასალას სამხრეთ საქართველოს იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ოსმალებმა დაიპყრეს და „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს. როგორც დავთრიდან ჩანს, მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო. აქ წარმოდგენილი ცნობები საგვარეულო სამემკვიდრეო საკუთრების შესახებ სანდო წყაროა ოსმალური გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის შესასწავლად (**ქსე, ტ.3, 1978: 318).**

ვილაიეთის გამგებლის (ბეგლარბეგის) რეზიდენციაახალციხე იყო. დავთრიდან ირკვევა, რომ ბეგლარბეგი გარკვეულწილად ოსმალო მოხელეთა დახმარებით მართავდა ვილაიეთს. ოსმალო მოხელეები ხშირად უხეშად ერეოდნენ ათაბაგის საქმიანობაშიც. დვთარში ჩილდირის ვილაიეთის გმგებლად ხიდირ ფაშაა მოხსენიებული, რომელიც მირ მირანის წოდებას ატარებდა.

„დავთარში“ ახალციხე ივარაუდება როგორც: 1. „გურჯისტანის ვილაიეთის“ მმართველის - ვალის რეზიდენცია, 2. ვილაიეთის შემადგენელი ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის - ლივას ცენტრი, 3. ლივას შემადგენლობაში შემავალი უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულის - რაიონის ცენტრი და 4. გარკვეული რაოდენობის კომლის შემცველი დასახლებული პუნქტი, რომელიც, როგორც საგადასახადო ერთეული, დაბეგრილია დაწესებული გამოსაღებით (**ჯიქია, 1958: 46).**

ოსმალთა ხელისუფლება ამა თუ იმ პროვინციისათვის ადგენდა კანონთა წიგნებს, რომელსაც კანუნ ნამე ეწოდებოდა. კანუნ ნამეები საუკეთესო წყაროს წარმოადგენს პროვინციის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად. 1595 წლის გურჯისტანის. ერთად ოსმალებმა შეადგინეს აგრეთვე ახალციხის ლივას (სანჯაყის) კანუნ-ნამეც. გურჯისტანის კანუნ-ნამეს იურისდიქცია ვრცელდებოდა გურჯისტანის მთელ ვილაიეთზე, ხოლო ახალციხის კანუნ-ნამისა - ახალციხის ლივაზე, რომელიც იყო გურჯისტანის ვილაიეთის მთავარი სანჯაყი და ქალაქი ახალციხე - მისი ადმინისტრაციული ცენტრი (**სვანიძე, 1971: 193).**

ქვეყნის გაოსმალების საქმეში ოსმალები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოსმალური მიწისმფლობელობისა დ მიწათსრგებლობის წესების დამკვიდრებას, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობისა და მიწითსარგებლობის წესებისაგან. ქრთველ მიწისმფლობელს მიწის შენარჩუნება ისლამის მიღებით და სამხედრო სამსახურით შეეძლო.„დავთარში“ დასახელებულია ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები: ხასი, ზიამეთი, თიმარი, ვაკუფი, მულქი-მოურუსი, თავისუფალი თიმარი, ჩიფთლიქი და სხვ. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოსმლური მიწისმფლობელობის დამკვიდრების პროცესი XVI საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო, თუმცა მის საბოლოო დამკვიდრებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა.

ხასი იყო მიწა, რომელიც სამხედრო ან ადმინისტრაციული სამსახურის პირობით ეძლეოდათ დიდ სახელმწიფო მოხელეებს. ხასების მიწებზე აკრეფილი გადასახადების შემოსავალი 100 ათასი ან მეტი ახჩა უნდა ყოფილიყო. ხასი თიმარებისა და ზეამეთებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მის ყველა მფლობელს არ ევალებოდა სამხედრო სამსახური და შეიარაღებული მხედრების გამოყვანა. ვაკუფის მიწის კატეგორია საჩუქრით სახით გადაეცემოდათ მაჰმადიან სასულიერო პირებს. მულქი-მოურუსი იყო კერძო საკუთრებაში არსებული მიწის სახეობა. ჩიფთლიქი იყო გლეხის მიწის ნაკვეთი, რომელსაც იგი ამუშავებდა და ფეოდალს გადასახადებს უხდიდა. ჩიფთლიქი ეწოდებოდა, აგრეთვე, ფეოდალურ მამულს, რომელიც სამემკვიდრეოდ ჰქონდა კაცს და

ვალდებული არ იყო შემოსავლის ხარჯზე მხედრები გამოეყვანა, ან თვითონ წასულიყო ლაშქრობაში.

ოსმალეთი მამულებს ართმევდა მის წინააღმდეგ მებრძოლ ფეოდალებს მათ შორის იყო მანუჩარ ათაბგი და მისი ოჯახის წევრები. ეს ღონისძიება მიმართული იყო ასევე ქრისტიანობის წინააღმდეგაც, რადგან მანუჩარ ათაბაგი ქრისტიანობის დასაცავადაც იბრძოდა.

„დავთარში“ იშვიათად, მაგრამ მიწის მფლობელებად გვხვდებიან ქრისტიანი ქრთველებიც, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ პერიოდში ოსმალეთის ხელისუფლება იძულებულია ზოგიერთ გაბატონებულ კლასს ქრისტინობით შეუნარჩუნოსმამული. შესაძლებელია ასევე, რომ ოსმალეთი გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ მიდიოდა ამ დათმობაზე.

ოსმალებმა სამცხე საათაბაგოში ფეოდალის აღმნიშვნელ ტერმინად სიფაჰი, ხოლო გლეხისა - რეაია დააწესეს.

ოსმალეთის სამხედრო-ლენურ სახელმწიფოში წვრილი და საშუალო მიწისმფლობელები იყვნენ. ოსმალეთის სულთანი სამხედრო სამსახურისათვის სიფაჰებს ლენებს (თიმარებსა და ზეამეთებს) აძლევდა. თიმარი იყო ისეთი მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური შემოსავალი 20 000 ახჩას არ აღემატებოდა, ხოლო ზეამეთი ეწოდებოდა ლენს, რომლის წლიური შემოსავალი 20 000-დან 100 000 ახჩამდე აღწევდა. თიმარის მფლობელს თიმარიოტი ეწოდებოდა, ხოლო ზეამეთისას - ზაიმი. სიფაჰებს თიმარები და ზეამეთები იმ პირობით ეძლეოდათ, რომ ომის შემთხვევაში ისინი ვალდებული იყვნენ გამოეყვანათ მეომრების გარკვეული რაოდენობა. თიმარის მფლობელს შემოსავლის ყოველ 3000 ახჩაზე ერთი შეიარაღებული მხედარი გამოჰყავდა, ზეამეთის მფლობელს კი ყოველ 5000 ახჩაზე - ერთი მხედარი. ომის დროს სიფაჰები თავისი მხედრებით მონაწილეობას იღებდნენ ლაშქრობაში. სამხედრო სამსახურის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სიფაჰს ლენი ჩამოერთმეოდა და სხვას გადაეცემოდა (**სვანიძე, 1971: 196-197).**

სამცხე საათაბაგოში ოსმალური გადასახდების ძირითდი სიმძიმე მწარმოებელ კლასს აწვა კისერზე. გადასახადები შემდეგი სახისა იყო: ისფენჯი (არამუსლიმან მამაკაცზე დაწესებული გადასახადი, 25 ახჩას რაოდენობით. გამუსლიმნების შემთხვევაში მას იხდიდა ბენაქის ბენაქის სახელწოდებით.), ბენაქი, უშრი(მიწის შემოსავლის მეათედი გადასახადი), ჯიზიე (კომლობრივი გადასახადი), მურახხასიე (საეპისკოპოსო გადასახადი, ხუმსი(ქრისტიანებზე გაწერილი გადასახადი შემოსავლის მეხუთედი), სალარიე(საფინანსო მოხელეების სასარგებლოდ გაწერილი გადასახადი), ბადჰავა და საქორწინო, საკვამლე, გამოსაღები ყიშლაღებზე, იალაღებზე, ცხვარზე, ღორზე, გამოსაღებები წისქვილზე, ფუტკარზე, ხილზე, ბოსტანზე და სხვა. აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალებმა ფაქტობრივად ყველაფერზე გაგასახადი დააწესეს და გლეხები მძიმე კბალურ მდგომარეობაში ჩააგდო.

ამის გამო გლეხები ხშირად მიმართავდნენ აყრა-გაქცევის გზას ან ათაბაგის მხარეს იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ პეტრეს ლივა, რომელიც ახალციხის საფაშოს დაქვემდებარებაში იყო მისი 48 სოფლიდან 41 დაცარიელებული იყო გლეხებისაგან.

პეტრეს ციხე იხსენიება გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში, ვახუშტი ბგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში და სხვა. ვახუშტის მიხედვით პეტრეს ციხე „მტკურის კიდესა ზედა, სამხრით, პეტრეს-ციხე, ფრიად მაგარი და შეუალი მტრისაგან. ამ ციხეს დასავლით უდის ყვერბლის-ხევი ... პირისპირ ციხისა მოერთვის მტკუარს ჩდილოდამ ლიკანის-ხევი“ (**ქც, 1973: 381,20-24**).

„დავთარში“ არ არის გამოტოვებული უმცირესი დასახლებული პუნქტებიც კი. საინტერესოა ისიც, რომ „დავთარში“ ყველგან აღწერილია ჟამთა სიავის გამო გაუკაცრიელებული სოფლებიც, რომელთა რიცხვი 300-ს აღწევს (**ჯიქია, 1958: 21**).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ კანუნ ნამეში ისფენჯი რეგლამენტირებულია, როგორც სტაბილური გადასახადი. მას მთელი ვილაიეთის მოსახლეობა იხდიდა სულზე 25 ახჩას ოდენობით. აჭარის მოსახლეობაზე მასიურად

გაწერილი ისფენჯის გადასახადი მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობა მასიურად ქრისტიანი ან ახლად გამუსლიმანებული იყო.

„გურჯისტანის დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოს ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 9.672.516 ახჩა, ან მისი ღირებულების შემცველი სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქცია (**სვნიძე, 1971: 200).**

ეს გლეხებისთვის მძიმე გადასახადები მწარმოებელ კლასს ანუ გლეხობას აწვა კისერზე და ხელს უწყობდა მეურნეობის გაჩანაგებას, რადგან გლეხები ხშირად მიმართავდნენ გაქცევის გზას. ოსმალეთი გლეხს მძმე კაბალურ მგდომარეობაში აგდებდა. ეს პოლიტიკაც ოსმალთა სასარგებლოდ იყო მიმართული რადგან ისლამის მიღების შემდეგ გადასახადების სიმძიმე მცირდებოდა.

„გურჯისტანის ვილაიეთის“ მთელი ფართობი 15 117 კმ² იყო. ეს ტერიტორია მხოლოდ ნაწილია მესხეთის მიწისა, რომელიც ოსმალებს ამ დროს ჰქონდათ დაპყრობილი. მესხეთის ამ ტერიტორიის მთელი ფართობი 34 230 კმ² იყო და აქედან 15 117 კმ² ანუ 42,2% „გურჯისტანის ვილაიეთის“ სახით „დავთარში“ აისახა (**სვანიძე, 1971: 193-194).**

ოსმალეთის მთავრობა სამცხის ტერიტორიაზე კოლონიზაციის მეთოდსაც მიმართავდა და საზღვარზე ოსმალურ მოსახლეობას ასახლებდა. ეს კარგად ჩანს გურჯისტანის კანონ-ნამედან, სადაც ჩაწერილია, „თუ სხვა რაიადან მოვიდა ვინმე, რომელიმე სოფელში დასახლდება და იცხოვრებს იქ სამ წელიწადს ისე, რომ ვინმეზე არ იქნება მიწერილი, ის თიმარის მფლობელის ისეთივე რეაია გახდება, როგორც სხვები; არავის ემინთაგან და არც სხვას ვისმე ხელი არა აქვს ამ საქმეში და მას ნუ მოსთხოვენ გამოსაღებს იმ მიზეზით, რომ ის მოსულიაო. აქ საზღვარია და ხალხის ჩასახლება საჭიროა“ (**სვანიძე, 1971: 201-202**).

რპგორც აღნიშნული კანონ ნამედან ჩანს ოსმალეთის ხელისუფლება ოსმალეთის ხელისუფლება მხოლოდ საზღვრების შევსების მიზნით მიმართავდა კოლონიზაცის თუმცა რეალურად ეს ქმედება მიმართული იყო ქართული მოსახლეობის წინსააღმდეგობის

შესასასტებლად და გათურქების პროცესის დასაჩქარებლად. ოსმალები სამცხეში ასახლებდნენ არა მარტო თურქ მოსახლეობას არამედ სხვა ტომებსაც.

„დავთრიდან“ ირკვევა რომ ოსმალები ქართულ ეკლესიასაც ავიწროებდნენ სამცხეში. ეკესიის მიწების ვაკუფებად და ეკლესიების მეჩეთებად გადაქცევა ისლამის გავრცელების ერთ-ერთი წინაპირობა იყო.

ნოდარ შენგელიას მიერ მოყვანილი 1649 წლის ფირმანი, რომელიც არზრუმის სერასქერის მიერაა გაცემული საინტერესო წყაროა სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანობის საკითხების გასარკვევად.

ფირმანის მიხედვით ბეგლარ-ბეგის წარდგინების საფუძველზე მაწყვერლის თანამდებობა ებოძა იოანე ბერს. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ეკლესია XVII საუკუნის შუა წლებშიც განაგრძობს არსებობას. დოკუმენტში მაწყვერლის შესახებ ვკითხულობთ: „მაწყვერელი გვირგვინი - ბისონიანი არს ამისი სამწყსო ყვიბის კორტანეთის შუა რომ წყარო ჰსდის, იას ზეით ხეობა და სადგერი, სულ აწყუერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი და გურიის წარდგომამდის“ (**შენგელია, 1974: 182-183**).

დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIIIსაუკუნის I ნახევარშიXVIII საუკუნის დასაწყისში სამცხეში ცენტრალური ხელისუფლება ძლიერ დასუსტებულია, რაც ფეოდალთა თვითნებობაში და გლეხთა ექსპლუატაციის ზრდაში გამოიხტა.

სამცხეში გამუსლიმანებული ფეოდალები მამულებს ოსმალეთის სულთნისაგან ღებულობენ სამკვიდროდ. ჩილდირის საფაშოს ზოგიერთ მხარეში (ფანაკი, აჭარა, ლივანა, შავშეთი და სხვა) ფეოდალთა მიერ შენარჩონებულ იქნა ძველი ფეოდალური მიწისმფლობელობა. ეს სამფლობელოები იურთლუქის, ოჯაჯლიქის და მულქიეთის უფლებით აღნიშნულ სამფლობელოებზე არ ვრცელდებოდა საგდასახადო წესები და ისინი დავთრებში არ შეჰქონდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა ფეოდალიზმმა

გაუძლო ოსმალთა მიერ შევიწროვებას და არსებობას განაგრძობდა ოსმლურ მიწისმფლობელობასთან ერთად XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის პირველ ნხევრში.

უნდა აღინიშნოს რომ ახალციხის ფაშები, მიუხედავად იმისა, რომ გამუსლიმანებული იყვნენ შეძლებისდაგვარად იბრძოდნენ ძველი დიდების აღდგენისთვის. თუმცა ამ პერიოდში ამის განხორციელება ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ფაშებს ათაბაგის ტიტულით მხოლოდ ქართველები იხსენიებდნენ. ისინი თავიანთი ძლიერების განსამტკიცებლად ხშირად იყენებდნენ დინასტიურ ქორწინებებს ქართველ მეფე-მთავართა სახლის წევრებთან.

ათაბაგები სარწმუნოებით მუსლიმანები იყვნენ, მაგრამ ისინი შემწყნარებლობას იჩენდნენ სხვა სარწმუნოებათა მიმართ. ამის აღმნიშვნელია ის ფაქტი, რომ 1715 წელს ახალციხეში ჩასული კათოლიკე მისიონერები ფაშამ მასთან ფარულად მოათავსა, რომ ოსმალებს მათთვის არაფერი ევნოთ.

რაც შეეხება ახალციხის მოსახლეობას, აქ სახლობდნენ მესხები, ოსმალები, სომხები და ურიანი. ციხესიმაგრეში მყოფ თურქებს თავისი გამგებლობა ჰქონდათ. რაც შეეხება ციხის გარეთ მყოფ მოსახლეობას ისინი ძველიქართული მმართველობის წესით ცხოვრობდნენ.

ჩილდირის ვილაიეთში სანჯაყების ერთნაირი როდენობა ყოველთვის არ იყო. შემდგომში ხდებოდა სანჯაყების დანაწილება. ეს ღონისძება ასუსტებდა სანჯაყბეგის როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ ძალაუფლებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ 8 სანჯაყი იყო აღნიშნული, „ჯაბა დავთარის“ მიხედვით კი, რომელიც 1694-1732 წლების ოსმალურ წყაროს წარმოადგენს ჩილდირის ვილაიეთში 21 სანჯაყია გაერთიანებული. ესენია: ახალციხე, ახალქალაქი, ჩილდირი, ფოცხოვი, ასპინძა, ხერთვისი, არტანუჯი, ოლთი, ლივანა, ნისფი ლივანა, ფერთექრეთი, შავშეთი, ფანაკი, მამირვანი, დიდი არტაანი, პატარა არტაანი, ჭაჭარაქი, ალთუნ-ყალა, ოცხე,ზემო აჭარა, ქვემო აჭარა.

„ჯაბადავთრის“ მონაცემებით, ახალციხის საფაშოში 900-მდე მიწისმფლობელი ყოფილა. აქედან ჩილდირის ბეგლარბეგის (ფაშას) ხასი 900 110 ახჩას შეადგენს, ხოლო ყველაზე პატარა თიმარისა კი - 376 ახჩას (**აბულაძე, https://www.scribd.com/document/383489909/774**).

ჯაბა დავთრის მონაცემებით ირკვევა რომ ამ პერიოდში მიწის მფლობელი ფეოდალები მუსლიმურ სახელებს ატარებენ, ამიტომ მათი ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ესენი გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები უნდა იყვნენ.

თავი III ევლია ჩელების, მეჰმედ რაშიდის და იბრაჰიმ ფეჩევისა ცნობები XVII-XVIII საუკუნეების სამცხე საათაბაგოს შესახებ

3.1 ევლია ჩელების ცნობები სამცხე-საათაბაგოს შესახებ (XVII საუკუნე)

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროები საქართველოს შესახებ შემონახულია ოსმალური სახელმწიფო აღწერის დავთრებში და ოსმალო ისტორიკოსებთან. XVII საუკუნეში ოსმალეთში საისტორიო მწერლობა ძალიან მაღალ დონეზე იყო განვითარებული და ოსმალო ისტორიკოსთა ოქროს საუკუნესაც კი უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთი დამპყრობლურ პოლიტიკას აწარმოებდა საქართველოს მიმართ და ბუნებრივია, რომ ოსმალურ წყაროებში საქართველოს შესახებ უამრავი მასალაა დაცული.

XVII საუკუნის ოსმალო ისტორიკოსთა და მოგზაურთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ევლია ჩელების, რომლის ათტომეული „მოგზაურობის წიგნი“ („სეიაჰათ ნამე“) საინტერესო წყაროა მრავალი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ლინგვისტიკის და სხვა საკითხის შესასწავლად.

ევლია ჩელები დაიბადა სტამბოლში სულთნის სასახლის იუველირთა მეთაურის - დერვიშ მეჰმედ ზილის ოჯახში. ევლიას თქმით, მამამისს ოსმალთა სამოცდაათ ლაშქრობაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. ევლიას დედა წარმოშობით ქართველი (აფხაზი) ქალი ყოფილა.

XVII საუკუნის შუა ხანებში ევლია ჩელებიმ იმოგზაურა საქართველოში და ამიერკავკასიის ქვეყნებში და არაერთი საინტერესო ცნობა შემოგვინახა. საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ ცნობები ძირითადად „მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომშია თავმოყრილი. მისი ქართული თარგმანი ეკუთვნის ვ. თოფურიძეს.

ევლია ჩელებიმ თითქმის მთელი საქართველო მოიარა და აღწერა. იგი იყო ახალციხეშიც და ძალიან საინტერესო ცნობები დაგვიტოვა იმდროინდელი სამცხე-საათბაგოს შესახებ, რომელიც უკვე დიდი ხანია გაოსმალების პროცესს განიცდიდა.

საქართველოს შესახებ ცნობები განეკუთვნება არა მარტო 1640-1647 წლებს, როდესაც ევლია ჩელებიმ იმოგზაურა, არამედ ადრინდელ პერიოდსაც.

1647 წელს ევლია ჩელებიმ აზერბაიჯანზე გავლით საქართველოში შემოვიდა და მისი აღწერა საქართველოს მეფეთა წარმომავლობის ისტორიით დაიწყო.

იგი წერს: „ნიმროდიდან წარმომავალ ხალხებში პირველნი ებრაელები არიან. მათ შემდეგ - ქართველების დადიანისა და შავშეთის ხალხები. ამათ შემდეგ გურიელი, აჩიკ ბაში, მეგრელი ხალხია. ყველა ესენი ებრაელები და, დავითის - მშვიდობა იყოს მასზე - მრევლთაგანი იყვნენ; ქრისტიანობა მიიჩემეს და სახარების მიხედვით მოქმედებენ. ესენი თორმეტ ენაზე ლაპარაკობენ. თითოეული მათგანი თავის კილოზე ლაპარაკობს. მათი აზრით, შავშეთის და დადიანის ხალხი უნატიფეს ენაზე მეტყველებენ. მოსკოვის ხელმწიფის შთამომავლობა რომ ამოწყდეს, ამ საქართველოდან ერთ ბეგს წაიყვანენ და გაამეფებენ. კეთილშობილი ხალხია“ (**ევლია ჩელები, 1971: 297**).

აქ აღნიშული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ევლიასათვის უცნობი არ იყო რუსეთსა და საქართველოს შორის დაწყებული ურთიერთობა.

იმერეთიდან ევლია და მისი მხლებლები ახალციხისკენ გაემართნენ. ევლია ახალციხის სახელს „ახისხათი“ მოიხსენიებს. ევლიას მიხედვით ახალციხის ციხის პირველი ამშენებელი ანუშირვანია, რომელიც საიალაღოდ ექვს თვეს ახალციხეში ატარებდა. შემდეგ ახალციხე მრავალთა ხელში გადასულა. მისი თქმით ომაელი ჰიშამ ბენ აბდ ალ-მალიქი სირიიდან მოსულა დიდზალი ჯარით, დაუპყრია ალეპოს, აინთაბის, მარაშის, მალათიას, დიარბექირის, არზრუმის და სხვა ციხეები. შემდეგ საქართველოსკენ წამოსულა და ახალციხის ციხეც დაუპყრია. შემდეგ ახალციხე აზერბაიჯანის მბრძანებელს ყარა იუსუფს (1355-1420 წწ.) დაუკავებია. თემურის გამოჩენის შემდეგ ყარა იუსუფს სულთან ბაიაზითთან შეუფარებია თავი. შემდეგ ციხე სულთან უზუნ ჰასანს (1423-1478 წწ.)

დარჩენია. შემდეგ შაჰ ისმაილის ხელში გადასულა. ისმაილმა ახალციხე იალაღად აქცია და შემდეგ საქართველოს ტერიტორიები დაიპყრო და დაიმორჩილა. როდესაც სელიმ I (1512-1520 წწ.) სულთანი გახდა ჩალდირანის ველზე ომში (1514 წ.) ირანის ასიათასიანი ლაშქარი ამოწყვიტა. ამ ომში შაჰმა მხოლოდ თავისი სიცოცხლის გადარჩენა შეძლო და აზერბაიჯანში დაბრუნდა. ამ ომის შემდეგ სელიმმა მთელი გურჯისტანი თავის მბრძანებლობას დაუმორჩილა.

ახალციხის ციხის დაპყრობის თარიღთან დაკავშირებით ევლია ჩელების შემდეგი ცნობა მოაქვს: „იდუმალმა ხმამ თქვა მისი თარიღი - აიღო ირანის სახელმწიფო რუმის სულთანმა“ (**იქვე: 299**).

ამ შემთხვევაში ევლია ჩელები სელიმ პირველს რუმის სულთნად მოიხსენიებს. აღნიშნული ფაქტი მეტად საინტერესოა, რადგან რუმის სასულთნოს ტერიტორიაზე XIV საუკუნეში ოსმალეთის იმპერია დაარსდა და ფაქტობრივად ოსმალეთი მის მემკვიდრეს წარმოადგენდა.

ევლიას ცნობით ახალციხე სელიმ I დიდ ვილაიეთად აქცია და ერთ ვეზირს უწყალობა. ჩილდირის ვილაიეთი 13 სანჯაყისაგან შედგებოდა. ესენია: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, ჭაჭარაქი, არტაანი, ფოცხოვი, მაჭახელა, აჭარა, ახალციხე - ფაშის სამყოფელი სანჯაყი იყო, ფერთექრექი, ლივანა, მცირე ლივანა და შავშეთი იურთლუქები და ოჯაჯლიკები იყო და მულქიეთის წესით იყო მფლობელობაში.

ევლია ჩელების ჩამოთვლილი აქვს ახალციხის ხასები მასზე გაწერილი გადასახადებითურთ. ეს ცნობა საინტერესო წყაროა ახალციხის საფაშოში შემავალი სანჯაყების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის საქმეში.

ოლთისი 300 017 [ახჩა], ფერქეთი 462 190 [ახჩა] არტანუჯი 280 000 [ახჩა], არტაანი 300 000 [ახჩა], შავშეთი 65 600 [ახჩა], ლივანა 365 000 [ახჩა], ხერთვისი 200 500 [ახჩა], ჭაჭარქი 365 000 [ახჩა], ფოცხოვი 206 500 [ახჩა], მაჭახელა 20 322 [ახჩა], აჭარა 200 000 [ახჩა], ფანაკი 400 000 [ახჩა] (**იქვე: 299**).

ევლია ჩამოთვლის თითოეულ სანჯაყში არსებულ ზეამეთებსა და თიმარებს: „სულ 656 თიმარი და ზეამეთია. კანონის მიხედვით ჯებელიებითურთ 800 მეომარი გამოდის. ფაშის ლაშქრიანად ათას ხუთასი მეომარია. ოლთისში 3 ზეამეთი და 123 თიმარია; დიდ არტაანში 8 ზეამეთი და 87 თიმარია; არტანუჯში 4 ზეამეთი და 42 თიმარია; ჭაჭრაქში 2 ზეამეთი და 72 თიმარია; ხერთვისში 13 ზეამეთი და 35 თიმარია; ფოცხოვში 12 ზეამეთი და 68 თიმარია; ფანაკში 8 ზეამეთი და 54 თიმარია; სასინი 7 ზეამეთი და4 თიმარია; ლორე - 9 ზეამეთი და 10 თიმარი: ახალციხე - 10 ზეამეთი და 17 თიმარი; ახალქალაქში 11 ზეამეთი და 32 თიმარია; ხათლა 18 ზეამეთი და 7 თიმარია; ისპირში 4 ზეამეთი და 14 თიმარია. სალაშქროდ წასვლის პირობის უზრუნველსაყოფად ათას სამოცი სოფლიდან ყოველწლიურად სამას ოცი ქისა შემოდის. ზეამეთებისა და თიმარების მფლობელების სარჩოა. სულთან სელიმ [პირველმა] ეს ვილაიეთი სანჯაყის ფაშას უბოძა ბრწყინვალე თუღრით და არზრუმის, სივასის, მარაშის, ადანას, ოზმას ვილაიეთები ჩილდირის ვალის დაუმორჩილა. მათი დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნა კანონი იყო. არის სუბაშის თანამდებობაც. ჩილდირის მირმარანისათვის სამეფო ხასი 400000 [ახჩაა]. ორი ათასამდე ჯარისკაცი, ციხისთავები, შვიდი ასეული მაღალი კარის იენიჩართა აღა, ჯებეჯიების აღა, თოფჩუების აღა ჰყავს. ყველა მხარე დასახლებული და გაშენებული იყო, მაგრამ 1044 (1634-1635 წწ.) წელს ყიზილბაშებმა იხელთეს დრო და დაიპყრეს. მას შემდეგ, რაც სულთან მურად მეოთხემ (1612-1640 წწ.) ირანს ერევანი წაართვა, ახალციხეც აიღო“ **(იქვე: 300).**

როგორც ცნობილია 1634 წელს მურად IV-მ შაჰ სეფის ომი გამოუცხადა და ერევანიც დაიპყრო, მაგრამ ერევნის ციხეში მცირე გარნიზონი ჩააყენა, ამიტომ ყიზილბაშებმა შეძლეს ერევნის დაბრუნება. 1636 წელს მურადმა ჯაყელების დახმარებით მთლიანი სამცხე საათაბაგო დაიბრუნა. სწორედ ამ ფაქტს აღნიშნავს ევლია ჩელები ზემოთ მოყვანილ ცნობაში.

ევლია ჩელები აჩიკ ბაშის, შავშეთის, იმერეთის და გურიის ბეგებს ურჯულოებად მოიხსენიებს და საევე დაასკვნის, რომ მურად მეოთხის დროს ყველანი დამორჩილდნენ.

ეს მორჩილება უნდა მიუთითებდეს მურად IV მიერ 1628 წელს გამაჰმადიანებული საფარ-ფაშას გურჯისტანის ვილაიეთის მმართველად დასმას. საფარ-ფაშას მმართველად დანიშვნის შემდეგ სამცხე-სააათაბაგო კიდევ უფრო მტკიცედ ადგას ოსმალთა მორჩილების გზას.

ევლია გვაძლევს ახალციხის ციხის აღწერას: „ციცაბო გორაკზე ქვით მტკიცედ ნაგები მომხიბვლელი ციხე-ქალაქია. ორი კარი აქვს. შიდა ციხეში ათას ასამდე უვენახო, უბაღო, მიწით დახურული სახლია. ერთი კარი აღმოსავლეთითაა, მეორე - დასავლეთით. ოცდარვა მიჰრაბი აქვს ზემო ციხეში სულთან სელიმ პირველის ჯამე ძველი ნახელავი სამლოცველო და მიწის თხელი ფენითაა გადახურული. საერთოდ ამ ქალაქში ტყვიით დახურული შენობა არ არის. ამ მშვენიერი შენობის მინარეთი დანგრეულია. გუნბეთ-ოღლუს ჯამე მიწითაა გადახურული; უმინარეთოა. ქვემო ციხეში ხალილ-აღას ჯამე ძველი აშენებული, მრავალრიცხოვანი მრევლის პატრონი, ლამაზი და გულისგამამხიარულებელია. ვინაიდან ვილაიეთის მცხოვრებნი სუნას მიმდევარი, მორწმუნე და ერთი ღმერთის მაღიარებელი ხალხია, ამიტომ, გარდა ხუთი ლოცვისა, ყველა ჯამეში ყურანი და სხვა ცოდნის წყარო იკითხება. საგანგებო სასწავლებელი, ჰადისების სახლი და ყურანის საკითხავი სახლი არა აქვთ, მაგრამ ცოდნის მაძიებელი ბევრია“ (**იქვე: 300-301**).

ზემოაღნიშნული ცნობა მიუთითებს საფარ-ფაშას მმართველობით გამოწვეულ ვითარებას, როდესაც ოსმალებმა შედარებით მტკიცედ მოიკიდეს ფეხი სამცხე საათაბაგოში და ისლამის გავრცელებაც უფრო ინტენსიურად დაიწყო.

ევლიას თქმით ამ ამ ციხის გარეუბანს გალავანი არ აქვს. იქ ცხოვრობს ქართველები. ისინი მამაცი და ვაჟკაცი ხალხია. ამ ვილაიეთის ვალია ქართველი საფარ-ფაშა, რომელიც უნარიანად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას. ახალციხიდან თბილისამდე 5 დღის სავალია (**იქვე: 301**).

როგორც ვხედავთ ევლია ჩელები დადებითადაა განწყობილი საფარ-ფაშასადმი. ეს იმით უნდა იყოს ნაკარნახევი, რომ საფარ-ფაშა ოსმალთა ინტერესების

გამტაარებელია. სხვა კუთხით რომ შევხედოთ საფარ ფაშა სამშობლოს მოღალატის სახელს უფრო იმსახურებს. ამ შემთხვევაში ევლია ჩელები ტენდენციურია და არცაა გასაკვირი, რადგან ის ოსმალო კარის ისტორიოგრაფია.

ევლია ჩელების სხვადასხვა საკითხებთან ერთად აღწერილი აქვს სამცხე-საათაბაგოში, XVII-XVIII საუკუნეებში, არსებული სხვა ციხეებიც. იგი გვაძლევს ცნობებს, თუ როდის დაიპყრეს ისინი ოსმალებმა. ეს ციხეები ყოფილა: ჩილდირის ახლოს მდებარე ხერთვისის ციხე, რომელიც ოსმალთა სარდალმა ლალა მუსტაფა-ფაშამ აიღო 1578 წელს. მასვე დაუკავებია ახალქალაქის, ფარაქანის, ფოცხოვის და დიდი ვალეს ორი ციხეები. ამ დროსვე დაუპყრიათ ოსმალებს შავშეთიც. ე. ჩელების თქმით ,,შავშეთი მიუდგომელი და აუღებელი ადგილია“ (**იქვე: 302).**

ჩილდირის ახლოს მდებარეობდა აგრეთვე ქაჯის ციხე, როემლიც ფერჰად-ფაშამ დაიპყრო 1582 წელს. აქვე ყოფილა ქალის ციხეც ,,მდინარე ჯაყის ნაპირას“. ახლოსვე მდებარეობდა ,,ოქროს ციხე ქვით არის ნაშენი და ქალის ციხიდან სამი საათის სავალზეა“ (**იქვე: 302).** ამავე წელსვე დაიკავეს ოსმალებმა ახალციხის ახლოს მდებარე ციხე ოდორია.

ევლიას მიერ ჩამოთვლილი ციხეები ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაში შედიოდა და აქ უმეტესწილად ოსმალთა გარნიზონები იყო ჩაყენებული. ამავე საფაშოში ყოფილა კოლას ციხეც, რომელიც ე. ჩელების თქმით „კოლას ციხე ახალციხის მიწაზე საქართველოს ერთი ბეგის - ლევან-ხანის აშენებულია. სელიმ-ხანის დროს ჩატარებული აღწერის მიხედვით ჩილდირის ვილაიეთში სანჯაყის ბეგის სადგომია. მისი ბეგის სახასო, კანონის მიხედვით, 300 000 ახჩაა... კოლას ციხე სულთან სელიმ-ხანის დაპყრობილია“ (**იქვე: 303-304).** ამავე ხანებში დაიკავეს ოსმალებმა ფანაქის ციხე. იგი 8 საათის სავალზე ყოფილა კოლას ციხიდან. ამ ციხეში სანჯაყბეგი მჯდარა და 400 000 ახჩას იხდიდა ბეგარას სახით.

ოსმალო სარდლები ცდილობდნენ სტრატეგიული ობიექტების დაკავებას და იქ თავის გარნიზონებს აყენებდნენ. იგივე ბედი გაიზიარა თორთუმის ციხემაც. ოსმალო

ისტორიკოს თქმით იგი „საქართველოს მეფის - მამრულის აშენებულია. შემდეგ უზუნ ჰასანის ხელში გადავიდა. მაგრამ შემდეგ ისევ ქართველებმა დაიპყრეს. სულეიმან-ხანმა როგორც კი გაიგო მისი დაპყრობის ამბავი, მაშინვე მეორე ვეზირი აჰმედ-ფაშა კარგა დიდი ჯარის სარდლად დანიშნა და გააგზავნა. ისიც მოვიდა და სანგრებში რომ შევიდა, შვიდი დღისა და შვიდი საათის ბრძოლის შემდეგ ციხე დაიპყრო. შიგ საკმაო რაოდენობით მეციხოვნეები, ჯაბახანა, ზარბაზნები ,სურსათი და სხვა მარაგი დატოვა“ (**იქვე: 321-322**). ასე გადასულა ეს ციხე ოსმალების ხელში.

ევლია ჩელებიმ საქართველოში მოგზაურობის დროს არაერთხელ მიიღო ძღვნად ქაღთველი გოგო ბიჭები, რაც საქართველოში ტყვის სყიდვის არსებობაზეც მიუთითებს.

ევლია საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს გონიოს ციხეზე კაზაკების ლაშქრობის შესახებ. დეტალურად არ განვიხილავ აღნიშნულ ლაშქრობას, ავღნიშნავ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ გონიოს ციხის დაკავების შემდეგ როდესაც დადგა საკითხი თუ როგორ ეძიათ შური მეგრელ ურჯულოებზე საფარ-ფაშამ მეგრელებისადმი თავისი სიძულვილის გამოსახატავად თქვა: „ისლამის ლაშქრის ქვეითი და ცხენოსანი ჯარი მეგრელებს შევუსიოთ. ჩვენი, ახალციხისა და გურჯისტანის გმირები მეგზურებად მივცეთ და საღვთო ომის ნადავლი მათაც გავუზიაროთო“ (**იქვე: 321-322**). ლაშქარი მხოლოდ მხედართმთავრის ბრძანებასღა ელოდა. აქ ნათლად ჩანს საფარ-ფაშას მზაკვრობა.

როგორც ვნახეთ ევლია ჩელებიმ მოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. იყო მრავალი ისტორიული ფაქტის და ლაშქრობის მის მიერ მოცემული წყაროები უთუოდ საინტერესოა და მისი შესწავლა ღრმად და საფუძვლიანად უნდა მოხდეს, რათა დადგინდეს ან დაზუსტდეს საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხები, რომელთა შესახებაც საქართველოს ისტორიაში ძალზე მწირი მასალები მოგვეპოვება ან საერთოდ არ მოგვეპოვება

3.2. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები სამცხე-საათაბაგოს შესახებ (XVII საუკუნე)

XVII საუკუნის ოსმალო ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები მნიშვნელოვანი წყაროა ოსმალეთ-საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხების შესასწავლად.

ოსმალური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იბრაჰიმ ფეჩევი დაიბადა 1574 წელს სამხრეთ-დასავლეთი უნგრეთის ქალაქ ფიუნფკირხენში. ი. ფეჩევის წინაპრები ბოსნიაში ცხოვრობდნენ და იქაური მემამულეები იყვნენ. უნგრულად ამ ადგილს ფეჩი ეწოდებოდა. ფეჩევის ისტორია მოიცავს ამბებს 1520

წლიდან 1640 წლამდე და საუკეთესო წყროა როგორც ოსმალეთის ასევე მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის უკეთ შესწავლისათვის.

იბრაჰიმის მამის სახელი ცნობილი არ არის. დედა, ოსმალთა ისტორიაში კარგად ცნობილი და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების სოკოლოვიჩების გვარეულობიდან იყო გამოთხოვილი. გავლენიანი ნათესავების დახმარებით 1593 წელს დაიწყო სამსახური სამხედრო უწყებაში და მონაწილეობა მიიღო სინან ფაშას უნგრეთის ლაშქრობაში.

სიცოცხლის ბოლო წლები ი. ფეჩევიმ თავის სამშობლოში გაატარა. 1641 წელს იგი თავს ანებებს სამსახურს, თავიდან ოფენში და ბოლოს ფიუნფკირხენში წერს თავის ცნობილ „თარიჰს“. ფეჩევი გარდაიცვალა დაახლოებით 1651 წელს.

იბრაჰიმ ფეჩევი გვაწვდის ცნობებს მეორე ვეზირის აჰმედ ფაშას საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ. ამ წყაროში ძირითადად ქართული ციხეების დაპყრობაზე საუბარი.

ი. ფეჩევის თქმით 1549 წელს სულთან სულეიმან I-მა (1520-1566 წწ.) სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგ ლაშქრობის ბრძანება გასცა. იგი დაევალა აჰმედ ფაშას. მას აზრუმის, ყარამანის ზულყადირლისა და სივასის ბეგლარბეგებთანერად უნდა ელაშქრა აღნიშნულ მხარეში. იგი იმავე წელსვე იქნა სისრულეში მოყვანილი და ოსმალებმა ,,ჯერ დიდი ბრძოლით აღებულ იქნა თორთუმის ციხე. ნიხახისა და ამირახორის ციხეები დაგვნებდნენ. ახჩაყალა ბრძოლით იქნა აღებული. მეორე ახჩაყალამ და ამათ გარდა კიდევ თხუთმეტმა ციხემ მორჩილება გამოაცხადა. დივან`ად წოდებულ მხარეში შესევის შემდეგ ურიცხვი შავარდნისთვალებიან და კაკაბივით მოგოგმანე ჭაბუკები და ქალწულები მუსლიმან გმირთა ხელში ჩაცვივდნენ. ფერთექრექ-ის ციხის და მისდამი დაქვემდებარებული ორი ციხის დაპყრობაც სხვა დაპყრობილ ადგილებს დაემატა. აგრეთვე დადელის მხარე თავისი კეთილნაშენი სოფლებით კეთილადდაცულ ქვეყანას დაერთო. ხსენებულ მხარეში დატოვებულ იქნა თხუთმეტი ციხე; დანარჩენი მიწასთან იქნა გასწორებული. შემდეგ თორთუმი, თალხისი, ახჩაყალა და დივანის ხევი განსაზღვრულ იქნა როგორც ერთი სასანჯაყო ადგილი. იგი ებოძა ერთ-ერთ ბეგს. ამის შემდეგ

მშვიდობითა და სიუხვით დაბრუნდნენ და 1549 წლის 24 ოქტომბერს ჯოლუქად წოდებულ ადგილას უავგუსტოეს ჯარს შეუერთდნენ.“ (**იბრაჰიმ ფეჩევი, 1964: 27-28).**

აღნიშნულ ცნობაში აღწერილია საქართველოდან სამცხე-ჯავახეთის ჩამოცილება და სასანჯაყო ტერიტორიებად გარდაქმნა. მოცემულია სოხოისტას ბრძოლის შემდეგ ოსმალეთის ლაშქრის საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისა და თარეშის შესახებ.

ძალიან საყურადღებოა იბრაჰიმ ფეჩევის ცნობა გიორგი სააკაძეს შესახებ, რომელსაც ის თანაუგრძნობს. ეს თანაგრძნობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ მართალია იბრაჰიმ ფეჩევი სულთნის კარის ჟამთააღმწერელია და იძულებულია ოსმალთა სასარგებლოდ წეროს, მაგრამ ქრისტიანი ხალხის მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებს. მან კარგად იცის, რომ ოსმალეთი დამპყრობელი სახელმწიფოა, ვინაიდამ ის უნგრელია და ფაქტობრივად ტყვეს წარმოადგენს ოსმალთა სახელმწიფოში. მას შინაგანად სძულს მისი ქვეყნის დამპრობელი, მაგრამ იძულებულია მის სამსახურში იყოს. ის სამართლიანად და დაუფარავად აკრიტიკებს ოსმალთა სარდალს, რომელმაც მოურავის შეთავაზებას არც დადებით და არც უარყოფითი პასუხი არ გასცა. ხუსრევ ფაშას მიერ მოურავის და მისი შვილის მოკვლას ფეჩევი აშკარა ჯალათობად მიიჩნევს და ოსმალთა დიდ შეცდომად განიხილავს. ფეჩევი ასევე დასძენს, რომ შაჰ აბასს ორმოცი წლის განმავლობაში ისეთი დანაკლისი არ ენახა რაც მოურავმა მიაყენა.

„ხსენებული მოურავად წოდებული მელიქი დიდი მელიქი იყო, რომელიც სრულიად საქართველოს სახელმწიფოს ქედხუდად და შაჰ აბასის მეგობრად იყო ცნობილი. ზოგ საჭიროებათა გამო ზემოხსენებულ მოურავს ორი-სამი ხანისა და მათი ჯარის თანხლებით შაჰი საქართველოში აგზავნის. თურმე საქართველოს მიერ შაჰის საწინააღმდეგოდ გაწეული ერთგვარი ურჩობა მოურავსავე მოეწყო ყიზილბაშზე შურის საძიებლად. მოხერხებული შემთხვევა რომ მიეცა, კარჩიკაი და მასთან მყოფი ხანები დახოცა და ერთი-ორი ათასი ყიზილბაშის ჯარს თავი მოჰკვეთა. 1625 წლის 3 ივლისს ოსმალთა ჯარის ბანაკში მოვიდნენ მოურავის კაცები მისი შვილითურთ და საქართველოს ზოგი

მელიქთაგანი კარჩიკაის და სხვა ყიზილბაშთა თავებითა და მოენე ტყვეებით, საყვირებითა და დიდი დაფებით და ორას-სამასი ბაირაღით“ (**იქვე: 83**).

1626-1627 წლებში ოსმალებმა კვლავ გაილაშქრეს ახალციხის მიმართულებით ყიზილბაშთა წინააღმდეგ. იბრაჰიმ ფეჩევის მოჰყავს აბაზას ტომების ურჩობის მაგალითი. აბაზას ტომებს დავალებული ჰქონდათ ოსმალთა ჯარისთვის დახმარების აღმოჩენა მაგრამ ისინი ოსმალთა განკარგულების სწინააღმდეგოდ აუჯანყდნენ მათ და ოსმალთა მხედრობის გარკვეული ნაწილი ამოხოცეს. ეს ერთი შეხედვით ოსმალეთისთვის მიუღებელი ფაქტი ქართულ ისტორიოგრაფიაში დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან რეალურად აბაზას ტომებს არ სურდათ მოძმე ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა. თუმცა იბრაჰიმ ფეჩევი ამ ფაქტს აბაზას მიერ თავის გადარჩენის მიზანს უკავშირებს. აბაზას წინააღმდეგ ოსმალთა სარდალმა ვერაფერი გააწყო, ზამთრის მოახლოების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა აბაზას ტერიტორია. ფეჩევის მოყავს ასევე დიდი ვეზირის გურჯი მეჰმედ ფაშას სიტყვები, რომელიც ოსმალთა სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს სამსახური მე დამეკისროს“-ო და ამ დავალებას თავს არიდებდა. ამიტომ სარდალმა მოიყვანა დიშლენ ჰუსეინ-ფაშა და ეს სამსახური მას უბრძანა“ (**იქვე: 85**).

ამის შემდეგ სარდლად ხუსრევ ფაშა დაინიშნა. მან შეძლო აბაზას ტომების მორჩილებაში მოყვანა და ახალციხის დაპყრობა. აბაზას ტომები შეშინდნენ, რადგან მათ წინააღმდეგ ოსმალთა დიდი ლაშარი წამოვიდა. ამიტომ პატიება ითხოვეს და არზრუმის ციხე ოსმალებს გადასცეს. ციხეში სარდალმა ოსმალური გარნიზონი ჩააყენა და შემდეგ ახალციხეც დაიკავა.

იბრაჰიმ ფეჩევი მოგვითხრობს ასევე ქენან ფაშას მიერ ახალციხის დაპყრობას.

„გულადი ვეზირი, მისი აღმატებულება ქენან ფაშას... დაევალა ახალციხის აღება და საკმარისი რაოდენობის ჯარი მიეცა.“ (**იქვე: 91**).

ამ მწირი ცნობის საფუძველზე ძნელია თქმა თუ, რომელი წლის მოვლენებზეა საუბარი. თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვს, რომ ეს უნდა მომხდარიყო 1628-დან

1639 წლამდე. 1639 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავით ირანმა საბოლოოდ აიღო ხელი სამცხე-საათაბაგოზე. თანაც იბრაჰიმ ფეჩევი ამბების თხრობას 1640 წლით ამთავრებს. ამ პერიოდში სამცხეში გამაჰმადიანებული, პროოსმალური ორიენტაციის საფარ-ფაშა არის მმართველი. გამოდის, რომ ოსმალებს საფარ-ფაშას დროსაც მოუხდათ ახალციხის ხელმეორედ აღება. რაც მეტყველებს ქართველთა ბრძოლისუნარიანობაზა. მაგრამ, სამწუხაროდ მარტო დამოუკიდებლობის მოპოვების სულისკვეთება არ აღმოჩნდა საკმარისი და სამცხე-საათაბაგო ოსმალთა მიერ იქნა დაპყრობილი.

3.3. მეჰმედ რაშიდის ცნობები სამცხე-საათაბაგოს შესახებ (XVII-XVIII საუკუნეები)

XVIII საუკუნის თურქი მემატიანის მეჰმედ რაშიდის საისტორიო თხზულება მოიცავს ოსმალეთის ისტორიის თხრობას 1660-1722 წლებში. ავტორს ოსმალთა სულთნის კარის

ოფიციალური ჟამთააღმწერლის თანამდებობა ეკავა და ხელი მიუწვდებოდა საჭირო მასალებზე. რაშიდის ისტორიაში საყურადღებო მასალები გვხვდება საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების შესახებაც.

მეჰმედ რაშიდის დაბადების წელი უცნობია. რაშიდი ყადის შვილი ყოფილა. სულთან აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) დროს მას დაევალა სულთნის კარის ოფიციალური ჟამთააღმწერლის მოვალეობა. ამასთან დაკავშრებით მან მონაწილეობა მიიღო სულთნის ლაშქრობებში და აღწერა ისინი როგორც თვითმხილველმა. 1718 წელს დიდვეზირმა იბრაჰიმ ფაშამ რაშიდი ოფიციალური ჟამთააღმწერლის თანამდებობაზე დატოვა და იმავე დროს დაავალა ოსმალეთის ისტორიის თხრობის გაგრძელება 1660 წლიდან, იმ ადგილიდან სადაც წყდება მუსტაფა ნაიმას მიერ დაწერილი ისტორია. ის გარდაიცვალა 1735 წელს ანატოლიის სამხედრო მოსამართლედ (ყაზიასქერი) ყოფნის დროს.

თავისი თხზულების დასაწერად რაშიდმა გამოიყენა იმ ავტორების ისტორიები, რომლებიც XVII საუკუნის მეორე ნახევრის ამბების თვითმხილველნი იყვნენ. მისი ისტორია საინტერესოა იმითაც, რომ ავტორმა უხვად ისარგებლა სამეფო კარის ოფიციალური დოკუმენტებით.

წინამორბედი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, რომელთა ცნობები უმეტესწილად აღმოსავლეთ საქართველოს ეხება რაშიდის ყველა ცნობა დასავლეთ საქართველოს მოიცავს.

რაშიდის „ისტორიის“ კვლევა გვიჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველო ამ პერიოდში ოსმალებს არ ემორჩილებოდა და ყველა შესაძლებელ მომენტში ხარკის მიცემას უწყვიტავდა. ოსმალეთი იძულებული იყო მის წინააღმდეგ არაერთხელ გაელაშქრა. სულთნის გავლენის შესუსტებას ის ფაქტიც მოწმობს, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ოსმლეთს დახმარებას არ უწევდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში აზოვთან. რაშიდის ცნობებიდან არ ჩანს მდინარე ჭოროხის აქეთ ოსმალთა ადმინისტრაციის არსებობა.

მეჰმედ რაშიდი საინტერესო ცნობას გვაწვდის ასლან ფაშას შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში არაა მითითებული რომელ წლებში იყო ასლანი ფაშად. თუმცა, ვახუშტის ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვემოთ აღნიშნული მოვლენა უნდა მომხდერიყო 1696-1697. როგორც ქართული და ოსმალური წყაროებით ირკვევა, სულთანი უკმაყოფილო იყო ასლან ფაშას საქმიანობით, რადგან მას ხელი არ შეუშალა არჩილს იმერეთის ტახტზე ასვლის დროს. ეს კი, ქართლის სამეფოს გავლენას გააძლიერებდა. „ვინაიდან ახალციხის ბეგლარბეგი, ასლან ფაშა, ქონების შეძენის სურვილით საქართველოს ქვეყანაში მღელვარებას იწვევდა და ამბოხებისა და არეულობის მოთავე იყო. არზრუმის ვალიმ, იბრაჰიმ ფაშამ, მისდამი გაგზავნილი სამეუფეო წერილის შესაბამისად, არ დააყოვნა მისი მოკვლა. მისი მოჭრილი თავი სამეფო კარის წინ გაგორებით დაამცირეს“ (**რაშიდი, 1976: 16).**

რაშიდის ცნობით 1703 წელს გურიის მთავარმა უარი განცხადა ოსმალთა მოხარკეობაზე და მხოლოდ საჩუქრით შემოიფარგლა. მან ქალ-ვაჟები აახლა სულთანს საჩ უქრის სახით. მაგრამ, ოსმალებმა გურიელის მიერ მორთმეული ქალ-ვაჟები გაყიდეს და ეს თანხა ჯიზიას სახით შეიტანეს ხაზინაში. ამას დაემატა ოსმალთა ლაშქრობაც. რაშიდი ბრძლის დაწყების მიზეზად დადიანის, გურიელისა და აფხაზების აჯანყებას ასახელებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ ოსმალეთის საზღვრებს და უარს ამბობდნენ ჯიზიას გადახდაზე. საქართველოს წინაღმდეგ მებრძოლი ლაშქრის მთავარსარდლად დაინიშნა ქუსჯი ჰალილ ფაშა. ბრძოლაში მონაწილეობა დაევალა ასევე ჩილდირის ბეგლარბეგს ისჰაკ ფაშას.

„გაიცა ბრძანება, რომ მთავარსარდალ, ზემოხსენებულ ვეზირ ქუსჯი ხალილ ფაშასთან შეიკრიბონ და მის სიტყვასა და ბრძანებას დაემორჩილონ: ტრაპიზონის ბეგლარბეგი სალიჰ ფაშა ლაშქრით, აგრეთვე ალაი ბეგები, ზაიმები და თიმარის მფლობელები ადგილობრივი მეომრები; აღმოსავლეთ ყარა ჰისარის სანჯაყის განმგებელი მუსტაფა ფაშა მთელი თავისი კარის ხალხით, სამასი შეიარაღებული მოხალისით და ხსენებული ლივის ზაიმები და თიმარის მფლობელები; გონიოს სანჯაყის

ბეგი და მეორე ბაზიერთუხუცესი მეჰმედ აღა მაღალი კარის იენიჩრების ყველა მებრძოლის შემადგენლობით ხუთი ოდა; ორასი კაცი ჯებეჯი, ასი მეზარბაზნე, ორმოცდაათი ზარბაზნების ლაფეტების მზიდავი“ (**იქვე: 21).**

როგორც ჩანს ოსმალეთი საქართველოს წინააღმდეგ საღვთო ომის ლოზუნგით აპირებდა გალაშქრებას. მეჰმედ რაშიდი აღნიშნავს ასევე ჩილდირის ვილაიეთის თოთხმეტ სანჯაყს, რომლებიც იურთლუკად და ოჯაჯლიკად ითვლებიან, ეს ცნობა კი საკმაოდ საყურადღებოა სამცხის ისტორიის კვლევისათვის. როგორც ვნახეთ ევლია ჩელები ამ კატეგორიის მიწების 4 სანჯაყს ასახელებს, ხოლო მეჰმედ რაშიდი 14-ს. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომ პერიოდში გაიზარდა მიწენის იურთლუქად და ოჯაჯლიქად გაცემის შემთხვევები. ეს ყოველივე კი ოსმალთა დაპყრობით პოლიტიკას უკავშირდება.

1703 წელს საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ გამზადებულმა ჯებებჯიებმა (ჯებეჯიები იყვნენ დაქირავებული ჯარის სახეობა, ისინი ძირითადად სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. ნაწილი იარაღს ამზადებდა, ნაწილი იცავდ ამ იარაღს, ნაწილი კი ეზიდებოდა და ჯარში ანაწილებდა) აჯანყება მოაწყეს და ჯამაგირის მეათედის გადახდა მოითხოვეს ავანსად. ამის გათვალისწინებით დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნა, რათა დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ისინი საქართველოზე სალაშქროდ. თუმცა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში 1704 წელს მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწიეს ზამთრის მოახლოების გამო და რიზეში დაბანაკდნენ.

„საქართველოს მხარეებში მდებარე იმერეთის, სამეგრელოს და გურიელის ქვეყნების მოსახლეობის ზოგიერთმა ჯგუფმა აჯანყების დროშა ააფრიალა. როცა მის უდიდებულესობას, მრისხანე ფადიშაჰს მოახსენეს, ხსენებული თვის მეთორმეტე დღეს (1703 წლის 31 იანვარი) მაღალი ფირმანი გაიცა ტრაპიზონის ვალის და სხვა მხარეების ვალიებზე მთავარსარდლად განწესებული ხალილ ფაშას სახელზე იმის შესახებ, რომ აჯანყებულთა ხელში ჩავარდნილი ციხეები განთავისუფლების შემდეგ ძირფესვიანად მოეთხარათ, ხოლო ბაღდადჯიკად და ბათუმად წოდებულ ადგილებში, საჭიროებისდა

მიხედვით, რამდენიმე ციხის საძირკველი ჩაეყარათ და ყველა ადგილზე საკმაო რაოდენობით მცველები ჩაეყენებინათ“ (**იქვე: 24-25**).

წყაროდან ნათალად ჩანს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების დაუმორჩილებლობა ოსმალთა მიმართ. ისინი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში აჯანყებას აწყობენ და ცდილობენ მათი ტერიტორიებიდან ოსმალთ განდევნას. ოსმალეთს საკმაოდ გაუჭირდა მათთან ბრძოლა და იძულებული გახდნენ ციხეები განთავისუფლების შემთხვევაში დაენგრიათ. ოსმალთა ეს ნაბიჯი შეიძლება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ისინი ვეღარ ახარხებდნენ ციხეებში არსებული გარნიზონის მომარაგებას და დროული დახმარების აღმოჩენას. ამიტომ, ამჯობინეს ამ ციხეების დანგრევა, რათა აქ კვლავ ქართული გარნიზონი არ ჩამდგარიყო.

დასკვნა

სამცხე-საათაბაგოში XVII-XVIII საუკუნეებში შექმნილი იყო უმძიმესი სიტუაცია. იგი გამოწვეული იყო ოსმალთა ფაქტორით. იმის შემდეგ რაც XVI საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა ჩილდირის საფაშო და ოსმალებმა დაიპყრეს ისტორიული მესხეთი აქ, უკუდურესად დაიძაბა ქართვეთა მდგომარეობა. უმძიმესმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა წნეხმა, რელიგიურმა ჩაგვრამ ქართველი მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტი აიძულა მამა-პაპისეული მიწები მიეტოვებინა და გადახვეწილიყო.

სამცხე-საათაბაგო იყო ერთგვარი საჯილდაო ქვა, რომელიც ირანელებისა და ოსმალებს შორისხელიდან ხელში გადადიოდა. სამცხელ ათაბაგთა შთამომავლები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ დამპრობლების წინააღმდეგ.

ოსმალო დამპყრობლები დღითი-დღე მიიწევდნენ წინ და ისტორიულად ქართულ მიწებს იტაცებდნენ. იპყრობდნენ ყველაფერს: ქალაქებს, სოფლებს და ციხეებს. ამკვიდრებდნენ ოსმალურ მიწათმფლობელობით და ადმინისტრაციულ წესებს. გადასახადს ახდევინებდნენ ყველაფერზე - საზოვრებზე, მარცლოვან კულტურაზე, ბაღებზე, ვენახებზე და ხილზე. გადასახადი იყო რელიგიური ხასიათისაც. ქართველი მოსახლეობა იხდიდა25 ახჩას ქრისტიანული მრწამსისათვის.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია XVII-XVIII საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოში მიმდინარე მოვლენებზე. თუ, როგორ არის ასახული იგი ევლია ჩელების, მეჰმედ რაშიდის და იბრაჰიმ ფეჩევის საისტორიიო ნაწარმოებებში.

ევლია ჩელების ცნობებიან ირკვევა, რომ ახალციხე ოსმალებმა ჯერ კიდევ სელიმ პირველის დროს დალაშქრეს. იქვე საუბრობს ჩილდირის ვილაიეთზე. ირკვევა, რო მასში

შედიოდა 13 ადმინისტრაციული ერთეული სანჯაყი. ე. ჩელები დეტალურად საუბრობს ახალციხეში არსებულ გადასახადებზე. რაც აქ არსებულ ეკონომიკურ სურათს გვიხატავს.

ე. ელების თქმით, 1636 წელს სულთან მურად მეოთხეს დაუპყრია სამცხე. აქვე არის დეტალური სამცხის ციხის აღწერა. ისევე, როგორც სამცხე-საათაბაგოში არსებული სხვა ციხეებისაც. ირკვევა, რომ ამ ციხეებში ოსმალო დამპყრობლებს თავიანთ გარნიზნები ჩაუყენებიათ. დიდი ყურადღებაა გამახვილებული გონიოს ციხეზე კაზაკების თავდასხმასთან დაკავშირებით.

ი. ფეჩევის ცნობებიდან ირკვევა, რომ სულთან სულეიმან პირველმა 1549 წელს გასცა ბრძანება სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შესახებ. ოსმალთა კოალიციურ მრავალათასიან ლაშარს სათავეში ჩაუდგა აჰმედ ფაშა. დეტალურადაა აღწერილი თუ, როგორ აიღეს ოსმალებმა თორთუმის, ნიხახის, ამრახორის და ახჩაყალას ციხეები. ამ წყაროს თანახმად სხვა 15 ქართული ციხე უბრძოლველად დანებებია ოსმალებს. ტყვეთ იქნა წაყვანილი უამრავი ქართველი. ოსმალებს დაუპყრიათ ფერთექრექის ციხე, რომელსაც მოჰყოლია მისადმი დამორჩილებული 2 ციხის დაცემაც. ეს ციხეები კეტავდნენ დადელის მხარეს. როგორც კი, ეს ციხეები დაეცნენ ოსმალებმა დაიკავეს ეს მხარეც. სადაც ოსმალებმა 15 ციხე დატოვეს დანარჩენი კი დაანგრიეს.

ი. ფეჩევის ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება სოხოისტას ომის (1545 წ.) შემდეგ საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე. თუ, როგორ ჩამოაცილეს საქართველოს სამცხე-ჯავახეთი და დაჰყვეს იგი სანჯაყებად.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფეჩევთან დაცულია ცნობე გიორგი სააკაძის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი და მისი მომხრეები სიკვდილით დასაჯეს ოსმალებმა ისტორიკოსი არ მალავს თავის სიმპატიებს მისადმი.

1627-1628 წლებში ოსმალებს მორიგი ლაშქრობა მოუწყვიათ მესხეთის მიმართულებით. ეს გარკვეულ წილად გამოწვეული იყო აქ მცხოვრები აბაზას ტომების დაუმორჩილებლობით. მათ მხარი არ დაუჭირეს ოსმალებს მესხების წინააღმდეგ

ბრძოლაში. ოსმალო ისტორიკოსი ამით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აბაზას ტომებიც ქართველები არიან და თავის თანამოძმეებთან იმიტომაც არ სურდათ ბრძოლა.

მეჰმედ რაშიდის ცნობით ასავლეთ საქართველო ბოლომდე ქეს არ უდრეკა ოსმალებს და ყველა ხელსაყრელ მომენტს იყენებდა აჯანყებისა და ხარკის შეწყვეტისათვის. ოსმალთა სულთანიც იძულებული იყო არაერთხელ ელაშქრა მათ წინააღმდეგ. მ. რაშიდის ცნობებით ირკვევა, რომ XVII საუკუნის ბოლოს ჭოროხს გაღმა ოსმალთა ბატონობა არ ვრცელდებოდა.

მნიშვნელოვანია მ. რაშიდის ცნობა ახალციხის ბეგლარბეგ ასლან ფაშას შესახებ. მან ხელი არ შეუშალა ქართლის მეფის ძე არჩილს იმერეთის ტახტზე ასვლას, რამაც გააღიზიანა ოსმალთა მმართველი. როგორც ჩანს ასლანი ცდილობდა საქართველოს გაძლიერებას, რასაც ფარულად მხარს უჭერდა. მ. რაშიდის ისტორიიდან ირკვევა, რომ ასლანი საბოლოოდ შეეწირა ამას. მას თავი მოკვეთეს ოსმალებმა.

მნიშვნელოვანია მ. რაშიდის ცნობა დასავლეთ საქართველოში 1703 წელს მომხდარ ოსმალთა საწინააღმდეგო აჯანყების შესახებ. ისეთ დეტალებზე გვესაუბრება იგი, რომელიც სხვაგან არ გვხდება. ოსმალებს მრავალათასიანი ჯარით ულაშქრიათ საქართველოს მიმართულებით. ქართველებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ მათთვის. ოსმალებს აუღიათ მრავალი ქართული ციხე და დაუნგრევიათ ისინი, რათა ისევ ქართველი მეციხოვნეები არ ჩამდგარიყვნენ იქ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ევლია ჩელების, მეჰმედ რაშიდის და იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები სამცხე საათაბაგოს XVII-XVIII საუკუნეების ისტორიის შესახებ ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ. იქ გვხდება ჩვენ ისეთი ცნობები და დეტალები, რომელიც სხვაგან არ არის დაცული

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტომი IV, თბ., 1973.
2. ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება ტომი II, თბ., 1959
3. ბერძენიშვილი ნ. საქარღველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 2, თბ., 1965.
4. სამხრეთ-დსავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა II, ბათუმი., 2009
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.
6. სვანიძე მ. თურქეთის ისტორია, თბ., 2007.
7. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990.
8. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1971.
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.3, თბ., 1978.
10. შენგელია ნ. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმლური წყაროები, თბ., 1974.

11. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წგნ. 4, თბ., 1967.

12. ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი 3, თბ., 1958.

13. ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თბ., 1973.

14. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964.

15. მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ. თბ., 1976.

16. **ე.აბაშიშვილი ე., http://umurgulia82.blogspot.com-** სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება

17. **მამისთვალიშვილი ე.,** http://umurgulia82.blogspot.com- სამცხე-საათაბაგოს ურთიერთობა ირანთა ოსმალეთთან 1578-1625 წლებში

18. **ლომსაძე შ., http://umurgulia82.blogspot.com** - მესხები და მესხეთი

19. **ბახტაძე მ., http://umurgulia82.blogspot.com**- მანუჩარ II ჯაყელი

20. **ფარსადან გორგიჯანიძე., http://umurgulia82.blogspot.com** „საქართველოს ცხოვრება“

21. **თეიმურაზ ბაგრატიონი**., **http://umurgulia82.blogspot.com** - „ახალი ისტორია“ (საქართველო 1744-1818 წწ.)